საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ხალ-ხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 19 მარტი. 2016 წ. №51 (7943), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

წყლის ნაყვას ნიგვზის ნაყვა არა სჯობს?!

არასამთავრობოებისგან ჩინებული ფერმა ჩამოყალიბდებოდა...

როგორც გვიმტკიცებენ და აშკარადაც ჩანს, ქვეყნის ეკონომიკას თურმე თვითონ ბაზარი აწესრიგებს, პოლიტიკურად კი ქვეყანას, ფაქტობრივად არასამთავრობოები განაგებენ...

აბა, ამ პრეზიდენტის არცთუ მცირე აპარატს, ასორმოცდაათ კაცამდე გაბერილ პარლამენტს და ეგრეთ წოდებულ მთავრობას თავისი მრავალშტოიანი სტრუქტურებით, ადგილობრივ ხელისუფლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კარგა გვარიან ხელფასებს, დანამატებსა და პრემიებს რაღატომ ვუხდით?!

იყონ, ბატონო, ეს არასამთავრობოები, უცხო ფულით ეს ვარაყდაწმენდილი გაუმჭვირვალი გამჭვირვალე გიგაურები, ლომჯარიები, ვერძეულები, დევდარიანები, დანელიები, მენაბდეები, რომელთაც მხარში უდგას სოროსის დღემდე არცთუ ბოლომდე „გარენტგენებული“ ფონდის ხელმძღვანელი ხუციშვილის ქალი, და თუ რამ გადასაწყვეტი საკითხია, აკი წყვეტენ კიდეც. რაც შეეხება აია-საიას, ანუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას თავისი ლოყებფუნთუშა ნაცვლიშვილის თავქალობით, კაცმა რომ თქვას, რაღა საჭიროა ეს სათავეში გვენეტაძის ქალჩაყენებული უზენაესი სასამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის მურუსიძიანად ანდა რის მაქნისია თუნდაც დღემდე მარტო ნაციონალების ფეხის ხმას აყოლილი საკონსტიტუციო სასამართლო დედის მუცლიდანვე თავმჯდომარედ დაბადებულ პაპუაშვილიანად, როცა თუ არა ამათი ბეჭდიანი დასტური, არც პრეზიდენტის სიტყვასა აქვს ფასი, არც პარლამენტის დადგენილებას, არც მთავრობის გადაწყვეტილებას და არც უზენაესი სასამართლოს განჩინებას, საქალაქოსას ხომ საერთოდ არავინ არაფერს არ ეკითხება.

იხ. 2 გვ.

– მოციქულო პეტრე, სამოთხეში ცოდვილნი რატომ დასეირნობენ?
– არალეგალები არიან, უფალო!

როცა ყველა მართალია და ყველა ტყუის...

„წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს,
ხდება, ციხეში აგზავნის“.

6

შოთა ნიშნიანიძე – ეპიგრამისტი

პოლიტიკა: გვეშველება რამე?!

4

საქართველოს სურს, იცხოვროს რუსეთთან ერთად და არა რუსეთის შემადგენლობაში



ივანე კეზუას ფერების სიმფონია

12

„გულივერა“ კვლავ ლიდერია!

10

3

პრეზიდენტის უბადრუკი ნააზრევი

მაია ქარაბაკი – სიცოცხლის ქომაგი

5

„ქოცებმა“ „ნაცები“ კიდევ ერთხელ ვერ სცემეს!..

3

1000-ლარიანი საჩუქარი პაპუაშვილს...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

◎ ქართველო, ხელი თოხს (ბარს) იკარ!

არასამთავრობოებისგან ჩინებული ფერმა ჩამოყალიბდებოდა...

წყლის ნაყვას ნიგვზის ნაყვა არა სჯობს?!

(პირველი გვერდიდან)

ღვთის წყალობით თუ ეშმაკის ხელშეწყობით საქართველო დღეს ნამდვილ სატელევიზიო ქვეყნად არის ქცეული, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ მრავალმილიონიან ქვეყანაში არ იქნება ამდენი სატელევიზიო არხი და, ალბათ, მსოფლიოში არც ერთ სატელევიზიო არხზე მთელი ოცდაოთხი საათი არ იქნება ამდენი გიგაური, ლომჯარია, ვერძეული, ნაცვლიშვილი, დევდარიანი, მენაბდე (ყველას რა ჩამოთვლის, ლეგიონია ეგრეთ წოდებულ არასამთავრობოთა სახელი!).



მართლაც ლეგიონი რომ არ იყვნენ და ლეგიონის კვალობაზე ვიღაცათაგან გვარიანად დაფინანსებულნიც, განა ასე სულ ერთიანად დაიპყრობდნენ მთელ სატელევიზიო პოლიტიკურ სივრცეს? განა ხელისუფლების ასე ჯიბრში დგომას შეძლებდნენ და ხელისუფლება განა ასე უძლური აღმოჩნდებოდა სხვათა სამსახურში ჩამდგარი ამ ნაცვლიშვილი-გიგაური-ლომჯარია-დანელია-დევდარიანი-მენაბდის თუ კიდევ სხვა მრავალთა წინაშე?!

ჰოდა, სწორედ ქვეყანაში შექმნილმა ამ საეჭვო პოლიტიკურმა ვითარებამ გამიჩინა, მგონი, არცთუ ურიგო აზრი... ან ავდგეთ და მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ამ ყოველგვარ საზოგადოებრივი ცხოვრების საზღვარს გადასულ ეგრეთ წოდებულ არასამთავრობოებს ჩავაბაროთ, რაც ჩვენს ქვეყანას ესოდეს ძლიერი ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანს, რადგან ეს არასამთავრობოები არც ხელფასებს, არც დანამატებს და არც პრემიებს აიღებენ, როგორც უკვე სხვა ქვეყნების მიერ უხვად დაფინანსებულნი, ანდა, ვინაიდან მარტო ცარიელი ლაპარაკით, ანუ წყლის ნაყვით ქვეყანას საშველი არა და არ დაადგა, ავდგეთ და აგრერიგად მომრავლებული და მარტო ჯიბრიან ლაპარაკს გადაყოლილი ორგანიზაციებისგან ერთი კარგა მოზრდილი სასათბურო მეურნეობა, ანუ ფერმა ჩამოვაყალიბოთ (თუნდაც ებრაული კიბუცის მსგავსი რამ), რომელი ფერმაც წლის ყოველ დროს არც ბოსტნეულს გამოულევს ქვეყანას, არც ბაღჩეულს და არც კიდევ ხილს (ცხადია, მეცხოველეობასაც შეიძლება რომ მიჰყონ ხელი). თანაც კიდევ, რადგან თავიანთი შრომის ასანაზღაურებლად სახელმწიფოსგან არცრა მატერიალურ წახალისებას არ მოითხოვენ, ბუნებრივია, ფერმაში მოყვანილ თუ მოწეულ მოსავალს შედარებით იაფად მიჰყიდიან მოსახლეობას. ისე, ფერმაში ყოველდღიური გარჯა სამედიცინო თვალსაზრისითაც ბევრად აჯობებს. ჯერ ერთი, ფიზიკური შრომით ჯანმრთელობას გაიკაჟებენ, მეორეც, ლაქლაქს გადაეჩვევიან და ამ ლაქლაქს გადაყოლილი საქმეც წინ წამოვა. აკი ნათქვამიც არის, როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო...

ასეთ შემთხვევაში ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ეს არასამთავრობოებისგან შემდგარი ფერმა თუ ფერმები (თუნდაც კიბუცი) არავითარ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის მფარველობაში არ უნდა მოექცნენ. პირიქით, ცალკე უნდა იმოქმედონ და ერთგვარ შეჯიბრშიც გამოიწვიონ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ვინ უფრო მეტ დოვლათს შექმნის ჩვენი მშიერი ქვეყნისთვის.

ერთი სიტყვით, თუკი მთავრობა დაეთანხმა ამ ჩვენს ეკონომიკურად არცთუ ურიგო წინადადებას და არც არასამთავრობოებს ექნებათ რამე საწინააღმდეგო, გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ (სულ პრაღაში და ჟენევაში ხომ არ უნდა ვმართოთ მოლაპარაკებები!), ალბათ, საშველი დაადგება არასამთავრობოებისგან შეღონებულ კვირიკაშვილის მთავრობასაც, თვითონ მთავრობისაგან კი რატომღაც წახალისებულ არასამთავრობოებსაც და, რა თქმა უნდა, არც სხვა ქვეყნებიდან (უწინარესად, თურქეთიდან) დაგვჭირდება ეკოლოგიურად საეჭვო ხარისხის სურსათის შემოტანა.

თანაც კიდევ ტელევიზიებიც დაისვენებენ ზედმეტი წყლის ნაყვისაგან, იაფი სურსათით შიმშილთან ნაბრძოლ მაყურებელსაც მეტი გართობა-დასვენების საშუალება მიეცემა... და ამა წლის არჩევნებზეც დანაყრებულ-დაპურებული ბევრად უფრო გულიანად წავა...

გურამ წიკლაური

P.S. არა მგონია, ამ ჩვენს არცთუ არაფრად ჩასაგდებ წინადადებას გულგრილად შეხვდნენ როგორც ხელისუფლებაში, ისე არასამთავრობოებში (ცოტა უსაგნო ლაპარაკს მიჩვეული და ნამდვილ შრომას გადაჩვეული გიგაურისა და ლომჯარიას სიჯიუტე მაშინებს!). არა მგონია, აგრეთვე, რომ სანამ ამ არასამთავრობოებისგან ერთგვარად შეშინებულ სახელმწიფოსთან ხმალდახმალ მებრძოლ გაოდესებული ძებნილი სააკაშვილის ჯილა გვარამიას კანონიერი მესაკუთრე — ქიბარ ხალვაში შეცვლის (რაც ისევ და ისევ ამ არასამთავრობოების მეცადინეობით ნამეტანი ჭიანურდება!), „ცრუსთავი-2“ დაეთანხმოს ჩვენს წინადადებას და ხელისუფლების ჯიბრში ავად ჩამდგარი არასამთავრობოების კვლავინდებურ თბილ ბუდედ არ დარჩეს ახალ-ახალი ნაღმიანი კვერცხების დასადებად და ახალ-ახალი შხამიანი წიწილების გამოსაჩეკად.

გ. წ.

◎ ლარი-დოლარი

დანაზოგები ზედმეტად გადაახურდავეს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ლარის კურსთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს და აცხადებს, რომ ეკონომიკაში მოლოდინებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი თქმით, სწორედ ამის გამო კომპანიებმა და მოქალაქეებმა დოლარში დანაზოგები ზედმეტად გადაახურდავეს. ახლა კი, უწევთ მათი ლარში გადახურდავება.

— ჩვენ გვქონდა დოლარიზაციის კოეფიციენტი ძალიან აწეული, რაც ნიშნავდა იმას, რომ ჩვენმა თანამოქალაქეებმა, კომპანიებმა ის დანაზოგები, რომლებიც მათ გააჩნდათ თავიანთ ანგარიშებზე ლარში, წინა წლის აგვისტოდან მოყოლებული, მათი გადახურდავება დაიწყეს უცხოურ ვალუტაში — დოლარში. ჩვენ ვუყურებდით ტრენდს, რომლის მიხედვითაც იზრდებოდა უცხოურ ვალუტაში აღნიშნული დანაზოგები. მე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ გარდა იმ მაკროეკონომიკური პარამეტრებისა, რომელსაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ჰქვია და რომლის მიხედვითაც ჩვენი ვალუტა იყო 5-დან 7 პროცენტზე მეტად გაუფასურებული, ვიდრე შედარებითი ანალიზი აჩვენებდა, აქვე იყო ეს მოლოდინებიც, რომ კომპანიებმა და მოქალაქეებმა დოლარში დანაზოგები ზედმეტად გადაახურდავეს..

ჩვენ ეფექტურ კურსთან მიმართებაში ვიყავით გაუფასურებული, ახლა ვუბრუნდებით იმ ეკვილიბრიუმს, რომელიც უნდა გვქონდეს“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

◎ ფინანსური დავა

ბიძინა ივანიშვილი შვეიცარიულ ბანკს ფულის გათეთრებაში ადანაშაულებს

საქართველოს ექსპრემიერის ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა შვეიცარიულ ბანკს Credit Suisse-ს ფულის გათეთრებაში დასდეს ბრალი.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ადვოკატებმა ჟენევის პროკურატურაში ბანკის წინააღმდეგ სარჩელიც შეიტანეს. ქართველმა მილიარდერმა ბანკის დაუდევარი ქმედების გამო 100 მლნ დოლარი დაკარგა. გარდა ამისა, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარით დაზარალებულია 2 სხვა ბიზნესმენი.

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატთა მტკიცებით, ბანკმა არ გაატარა სათანადო ღონისძიებები ფულის გათეთრების აღსაკვეთად და თანამშრომლებს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა.

„ამ საქმის გაცნობის შემდეგ გამოვლინდა ფაქტები, რაც გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ Credit Suisse-ში ფულის გათეთრების არაერთი შემთხვევა მოხდა“, — აცხადებენ ადვოკატები.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ბანკში ფულის სავარაუდო გათეთრებამ ზარალი მიაყენა ბიძინა ივანიშვილს. ადვოკატთა ცნობით, მათი საჩივარი ეყრდნობა შვეიცარიის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოდან მიღებულ მონაცემებს.

თებერვალში ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიულ ბანკ Credit Suisse-სთან სამართლებრივი დავა დაიწყო მისი საინვესტიციო პორტფელის არასათანადოდ გამოყენების გამო, რამაც მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოიწვია.

Credit Suisse-მა შეძლო საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი ადვოკატისთვის თაღლითობის საქმის მასალებზე წვდომის დაბლოკვა.

პირველად ქართველი მილიარდერისა და შვეიცარიული ბანკის დაძაბულ ურთიერთობაზე ინფორმაცია შვეიცარიულმა გაზეთმა Le Temps-მა გამოაქვეყნა. საუბარია საქმეზე, რომელშიც ბანკის კერძო ინვესტიციების ყოფილ მმართველია ეჭვმიტანილი.

იანვარში Le Temps-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი ფრანკი (101 მილიონი დოლარი) დაკარგა Credit Suisse-ის მენეჯერის ქმედებების გამო, რომელიც მის საინვესტიციო პორტფელს მართავდა. თებერვალში საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჟენევის სასამართლოში სარჩელი შეიტანა. „კომერსანტის“ ინფორმაციით, შვეიცარიული ბანკის მენეჯერების ქმედებებით დაზარალდა ორი რუსი ბიზნესმენიც, რომლებმაც ასევე მიმართეს სასამართლოს. ამ ადამიანების ვინაობა არ დასახელებულა, თუმცა გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეჭვმიტანილი მენეჯერის რუს კლიენტებს შორის ბურიატიის ექსსენატორი ვიტალი მალკინია.

ბიზნესმენები ბანკს და ბანკის კონსულტანტს პატრიცია ლეკორდონს, რუსეთის საბანკო ანგარიშების გაყალბებაში ადანაშაულებენ. მმართველმა რუსებს გაკოტრების, ჩამოშლის პირას მყოფი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ყიდვა შესთავაზა. ხვრელის გაჩენის შემდეგ კი, თანხა ბანკის სხვა კლიენტის, ქართველი ბიზნესმენის და საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ანგარიშიდან ისესხა. შედეგად რუსმა ბიზნესმენებმა დაკარგეს რამდენიმე ათეული მილიონი ევრო.

თავდაპირველად პროკურორმა ივ ბერტოსმა, რომელიც საქმეს იძიებს, ივანიშვილსა და მისი აქტივების მფლობელ კომპანიას მისცა წვდომა საქმის მასალებისადმი და ისინი დაზარალებულებად სცნო. ბანკმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და განაცხადა, რომ თავად არის სავარაუდო თაღლითობის ერთადერთი მსხვერპლი.

10 მარტს კი, სისხლის სამართლის საქმეებისა და საკასაციო განცხადებების განყოფილებამ ქართველ მილიარდერსა და მის ადვოკატებს სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომაზე უარი უთხრა არსებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ბეჟა დანელია

◎ ამაზრზენი და გულისამრევი

პრეზიდენტის უბადრუკი ნაზრევი

მარგველაშვილი რომ ცრუ პრეზიდენტია, ამას არ უნდა დიდი მტკიცება. სიტყვის გამტეხი და ფლიდი. ასე ხასიათდება მისი პერსონა. ყველაფერ ამას დაემატა ქართველთმოძულე სააკაშვილის, უმეცარი ალასანიას, ინტეგრალური პოლიტიკის უცოდინარი, ეგრეთ წოდებული რესპუბლიკელების „პლატფორმაზე“ გადასვლა.

ამაზრზენი და გულისამრევი იყო მარგველაშვილის ამასწინანდელი სატელევიზიო გამოსვლა. მან დაახლოებით ასე მიმართა ტელემაყურებლებს: სქესობივად ადრეც აქტიური ვიყავი, ამ მხრივ ამჟამადაც კიდევ უფრო გავიმდიდრე ჩემი ბიოგრაფია და მომავალში სექსს კიდევ უფრო მრავალფეროვანს გავხდიო!

ასე ტრაბახობენ პროვინციული ყაიდის მამაკაცები, ისიც, მამაკაცთა გარემოცვაში და ისიც სრულიად საიდუმლო გარემოცვაში. რატომ იყო ამაზრზენი და გულისამრევი? — ამ სიტყვების ავტორი სექსუალურად მიმზიდველი მამაკაცი რომ ყოფილიყო, მისთვის შეიძლება რაღაცნაირი გამართლება გვეპოვა — რაც საკუთარმა არსმა, აღნაგობამ უკარნახა, უნებლიეთ ის აღმოხდაო. მარგველაშვილი არამც და არამც სექსულურად მიმზიდველ მამაკაცად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, როდესაც ამ „მარგალიტებს“ წარმოთქვამდა. ალბათ, უნებურად გაიხსენებდით მულტფილმებს, სადაც ბოროტი, კისერმსხვილა, დუჟმორეული დევები აქეთ-იქით რომ დააბოტებენ და ამაზრზენ საქმეებს ჩადიან. მომიტევოს მკითხველმა და მარგველაშვილისნაირი ადამიანების სქესის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო კომისიის მეშვეობით თუ მოხერხდება. სავსებით სამართლიანად დაარქვა ბატონმა რეზო ამაშუკელმა მარგველაშვილს „კარალევა მარგო“.

ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ კლინტონს ახალგაზრდობის წლებში შეყვარებული ჰყოლია, შემდგომში ეს გოგონა ცოლად არ მოუყვანია, ესე იგი, სიტყვა გაუტეხია და ამისთვის მას პოსტიდან გადაყენებას უპირებდნენ.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ ამგვარი რამ: აშშ-ის, ინგლისის ან რომელიმე სახელმწიფოს პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადოს ის, რაც მარგველაშვილმა წამორონშა... მაგალითად, ანგელა მერკელმა გერმანელი ხალხის წინაშე დაიტრაბახოს თავისი ფიზიოლოგიური შესაძლებლობა, უმალვე დაატოვებინებენ დაკავებულ პოსტს. ჩვენთან კი მარგველაშვილს მოუწონეს „გულახდილობა“ და რასპუტინობა, — ყველაფერი ეს ევროპელობად ჩაუთვალეს.

სხვა მხრივადაც გავანალიზოთ „კარალევა მარგოს“ ზემოხსენებული ქადილი. რასაკვირველია, დასაგმობია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ვიდეო ფირების გასაჯაროება, მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირია იმ სახელმწიფო მოღვაწის საქციელი, რომელიც აღვირახსნილ მრუშობას ჩადის.

ამბობენ, პეტრიაშვილის სასიკვდილოდ გამეტება პირადი დაპირისპირების შედეგია და არა პოლიტიკურისა. მიუხედავად ამისა, გამოდის ალასანია და ექსტაზში მყოფი გაჰყვირის — უმოკლეს დროში უნდა გამოვლინდეს დამკვეთიო. ჩემი ვარაუდით, მანამდე ასე იყვირებს ის, სანამ ოფიციალურად არ გამოცხადდება, რომ მრუშობის, ჩხუბის, დაპირისპირების შემკვეთი ბატონი ბიძინა ივანიშვილია. აი, სადამდე მიდის ზოგი ინდივიდის უბადრუკი ნაბოდვარი.

როგორც მოსწავლეს მასწავლებელი ჰგონია არამიწიერი და ღვთაებრივი, ასეთი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საზოგადოებას პრეზიდენტზე. ვინ მოუწონებს მასწავლებელს, რომელიც გამოვა ტელევიზიით და მოიქცევა მარგველაშვილისამებრ.

აღსანიშნავია, მიმბაძველობისა და წამხედურობის ფაქტორიც. ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი, რომელიც მოისმენს პრეზიდენტის ამგვარ გამონათქვამს, გაიფიქრებს — მეც გავიმდიდრებ და მრავალფეროვანს გავხდი ჩემს სექსუალურ ბიოგრაფიას და შეუდგება მანდილოსნების გულის „დატყვევებას“. ვინ იცის რამდენი ქალიშვილის ცხოვრებას გაუბედურებს. ასეთ მიმბაძველობასაც ექნება ადგილი: დავუშვათ, მოწყენილი ახალგაზრდა დიასახლისი, რომელსაც ბევრი საქმე არა აქვს, ზის და ტელევიზორს უყურებს და ამ დროს თვალს ჰკიდებს პრეზიდენტის გამოსვლას, რომელიც თვითრეკლამას უკეთებეს თავის სექსუალურ შესაძლებლობას და მასთან (თუ ფსიქოლოგიურად გავაანალიზებთ მის გამოსვლას) რაღაცნაირად მაინც საკმარისად არ გმობს სახელმწიფო მოღვაწე მანდილოსნის მრუშობას, უნებლიეთ გაიფიქრებს — თუ შესაძლებლობა მომეცემა, რა მოხდება, მერე ხანდახან მეც ვუღალატებ მეუღლეს, სახელმწიფო მოღვაწე ჩადის ამგვარ რამეს, მე კი რა ბედენა ვარო.

ცნობილმა იაპონელმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა რიუნოსკე აკუტაგავამ ოცდათხუთმეტი წლის ასაკში თავი მოიკლა. მიზეზი: 10-12 წლის ასაკში მოვლენებს ისე არ ვჭვრეტდი, როგორც ამჟამადო. აი, ასეთი პათოსით უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდობა და არა მარგველაშვილის მეთოდით.

ნუთუ „ფილოსოფოსი“ პრეზიდენტი არ იცნობს საქვეყნოდ აღიარებული პედაგოგის და ფილოსოფოსის ჟან ჟაკ რუსოს შეხედულებას აღზრდის შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდა რაც უფრო გვიან გაცნობიერდება, ასე ვთქვათ, სქესობრივად, მით უკეთესია როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი განვითარების თვალსაზრისით. ჩვენთან კი ივიწყებენ ამ დიდი მოაზროვნის მოსაზრებას და დაწყებული დამლაგებლიდან დამთავრებული პრეზიდენტამდე ყველა ქადაგებს, რომ ადრეული ასაკიდან უნდა შევუდგეთ ბავშვის სექსში გაცნობიერების საქმეს.

რაც დასაბამიდან იდუმალია, მარად ასეთად უნდა დარჩეს. ცხოვრებისეული ყველა ყოფის გამომზეურება დადებით შედეგს არასოდეს არ გამოიღებს.

ნაილი კორინთელი,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

> **...არც შენ არ ხარ ინკოგნიტო,**
> **ამით ხარობს ყველა კინტო!**
> **მხოლოდ ხარობს?**
> **„ЭТИ НИ ТО!“**
> **სწამს,**
> **კაცურ ზნეს დასდებ „ვეტოს“,**
> **ფეხმსუბუქთა ჩასაკვნეტო,**
> **მექალთანე პრეზიდენტო!**
> **ალეძსანდრე შენგელია**

◎ SIC! SIC! SIC!

1000-ლარიანი საჩუქარი პაპუაშვილს...

წულუკიანი ვენეციის კომისიის დასკვნას ეხმაურება

— ჩემი დამოკიდებულება არ არის ხოლმე დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ როგორ შეფასებას მისცემს ამა თუ იმ მოვლენას პოსტფაქტუმ. ჩემი დამოკიდებულება განპირობებულია იმ რეალობითა და ფაქტებით, რომელზეც არაერთხელ ვისაუბრე. ეს შეეხება პირველ რიგში კითხვის ნიშნებს, რომელიც ბატონი გიორგი პაპუაშვილის წარსულიდან მომდინარეობს და დაკავშირებულია იმ საჩუქრებზე, რომელიც მან მიიღო როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მაშინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელისგან, პრეზიდენტი იყო მაშინ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და 1000 ლარად მან მიიღო გასაოცარი საჩუქარი. მე მაქვს კითხვა, რა გააკეთა პაპუაშვილმა ამ საჩუქრის სანაცვლოდ და ხომ არ არის დისკომფორტი მისთვის ის, რომ მისთვის ნაჩუქარ ბინაში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვები ქუჩაში დარჩნენ? მიუხედავად ამისა, პაპუაშვილი პოსტზე სექტემბრის ბოლომდე რჩება და მის უფლებამოსილებას არაფერი ემუქრება. ჩემი შეფასებები რეალურ ფაქტებზეა დამოკიდებული და არა იმაზე, მოვლენას პოსტფაქტუმ ვინ როგორ შეფასებას მისცემს“, — განაცხადა წულუკიანმა ტელეკომპანია GDS-თან საუბრისას.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინთ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა დაიჩივლა, რომ ცდილობენ მის დაშანტაჟებას. პაპუაშვილმა ღიად დაადანაშაულა იუსტიციის მინისტრი შანტაჟის მცდელობაში.

დაპირისპირების საპასუხოდ, გუშინ ვენეციის კომისიამ დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები საკონსტიტუციო სასამართლოს ზეწოლაში დაადანაშაულა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ კი, კიდევ ერთხელ განუმარტა მკითხველს, რომ ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები კვლავ უსუბუქ ერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში!

◎ საქმის ნაცვლად — ლაქლაქი

შეიქმნა ქორწინების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებაზე მომუშავე კომისია

საქართველოს პარლამენტში ქორწინების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებაზე მომუშავე კომისიის შექმნას, არცერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა 81-მა დეპუტატმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ზვიად კვაჭანტირაძის თქმით, კომისიის წევრები არიან: მანანა კობახიძე, გუბაზ სანიკიძე, გიორგი ვოლსკი, ეკა ბესელია, გიგა ბუკია, გოჩა ენუქიძე, კახა ოქრიაშვილი, გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე, გედევან ფოფხაძე, გიორგი ცაგარეიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ვაჟა აზარაშვილი (კომპოზიტორი), მერაბ თავაძე (კინორეჟისორი) და ნანა ჭიღლაძე (თსუ-ს კონსტიტუციური სამართლის პროფესორი). ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა.

„ქოცებმა“ „ნაცები“ კიდევ ერთხელ ვერ სცემეს!..

დაპირისპირება საკანონმდებლო ორგანოში კონსტიტუციაში ქორწინების შესახებ ჩანაწერზე საუბრის განხილვას მოჰყვა, კერძოდ, უმცირესობის წევრის ნუგზარ წიკლაურის გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ „ხელისუფლება ამ საკითხის წინ წამოწევით აღიარებს საკუთარ კრახს ბევრი მიმართულებით“.

„ქართული ოცნება“ ამ თემას ახლა აუიოტაჟის საგნად იყენებს. ეს არის სწორედ იმ კრახის აღიარება, რომელიც მათ გამოიჩინეს ეკონომიკაში, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართულებით. ყველა ჩვენგანმა ვიცით, რომ ქორწინება მართლაც ქალისა დ მამაკაცის ერთობაა, მაგრამ ამ საკითხებით აპელირება ხაზს უსვამს, რომ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ აღიარა კრახი ყველა მიმართულებით“, — აღნიშნა წიკლაურმა და საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებთან გადაინაცვალა.

გია ვოლსკიმ ნუგზარ წიკლაურის განცხადებას სამარცხვინო უწოდა და მცირე დაპირისპირებაც ამას მოჰყვა.

მოგვიანებით, მხარეებს პარლამენტის თავმჯდომარემაც მიმართა და ნუგზარ წიკლაურს ადგილზე დაბრუნება მოსთხოვა. „ბატონმა წიკლაურმა გადაწყვიტა, უმრავლესობას შეუერთდეს, ამაზე უმცირესობა ნერვიულობს“, — იხუმრა აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

„იდენტობის“ აქცია ქუთაისში

ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან ორგანიზაცია „იდენტობის“ წარმომადგენლების აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ქორწინების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხის განხილვა გააპროტესტეს. აქციის მონაწილეების თქმით, კონსტიტუციაში ქორწინებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებები ლგბტ ადამიანების დემონიზაციას უწყობს ხელს.

აქციის 15-მდე მონაწილემ პლაკატებით „პორნოკრატიაში სიყვარულის თანასწორობას გვიკრძალავენ“, „სიძულვილით ქვეყანა არ შენდება!“ დეპუტატებს მოუწოდეს, არ დაუშვან ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა.

„შეწყდეს ლგბტ თემის დემონიზება საქართველოში და შეწყდეს კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ამ თემის გამოყენება წინასაარჩევნოდ, როგორც კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების მოპოვების ინსტრუმენტი“, — აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ლადო ბიწაძემ. აქციამ ინციდენტების გარეშე ჩაიარა.

ბრალდებულ ინგა ჩატოიანს გირაო შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებულ ინგა ჩატოიანს აღკვეთის ღონისძიების ღონისძიების სახით 5 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. გირაოს შუამდგომლობით სასამართლოს პროკურატურამ მიმართა.

პროცესი საქალაქო სასამართლოში დაახლოებით ნახევარ საათს, დახურულ რეჟიმში გაგრძელდა. პროცესის დახურვა ბრალდების მხარემ მოითხოვა, რადგან საქმე პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას შეიცავდა.

ინგა ჩატოიანს პროცესის შემდეგ ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებულის ზურაბ ჯამალაშვილის მეუღლე დაუპირისპირდა. ის ცდილობდა ჩატოიანის დაფარული სახე გამოეჩინა. მოსამართლის შეკითხვაზე, რატომ ჰქონდა სახე დაფარული, ჩატოიანმა განაცხადა, რომ ყურები სტკივა. პროცესის დაწყებამდე კი ჯამალაშვილის მეუღლემ ჩატოიანი ცრუ ჩვენებების მიცემაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ჩატოიანი ამ საქმეში არის ცრუ მოწმე.

საქართველოს სურს, იცხოვროს რუსეთთან ერთად და არა რუსეთის შემადგენლობაში

ინტერნეტპორტალი Defence Matters აქვეყნებს ინტერვიუს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით უსუფაშვილთან და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან თედო ჯაფარიძესთან.

ინტერვიუს ქართულ თარგმანს საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

დღეს ამ ინტერვიუს დედაარსს გთავაზობთ.

— როგორ შეაფასებდით საქართველოში ამჟამად არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობას?

თედო ჯაფარიძე: ამჟამად საქართველოში და მის ირგვლივ არსებული უსაფრთხოების მდგომარეობა „სტაბილური და ნორმალურია“. თუმცა „სტაბილური და ნორმალური“ საქართველოში იმავეს არ ნიშნავს, რასაც ნიშნავს ლატვიაში ან სხვაგან. საქართველოში „ნორმალურია“, თბილისიდან 40 კილომეტრში რუსეთის ტანკები იდგნენ, ან საქართველოს მოქალაქეებს „სამხრეთ ოსეთის“ ან სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები ზუსტად რუსეთის სამხედრო ბაზების ცხვირწინ იტაცებდნენ. აქ საუბარია ქვეყანაში ისეთ „სტაბილურობასა“ და „უსაფრთხოებაზე“, როდესაც მთელი სოფლები, ოჯახები და სასაფლაოებიც კი გაყოფილია. ამ გადმოსახედიდან, ერთ „რომელიმე ნორმალურ“ დღეს „უსაფრთხოების“ ჩვენებური ცნება არ ემთხვევა ნებისმიერ დღეს საშუალო ევროპელის წარმოდგენაში არსებულ „უსაფრთხოდ ყოფნის“ ცნებას. ამ არაორდინარული ყოველდღიური რუტინის მიუხედავად, ჩვენ ნატოსა და ევროკავშირის დღის წესრიგის ერთგული ვრჩებით და რეალისტური მოლოდინიც გვაქვს. ჩვენ გვაქვს საზოგადოების მანდატი და გვსურს, ვიყოთ ამ ორგანიზაციების წევრები, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს ხვალ არ მოხდება და რომ საჭიროა მოთმინება, დიდი ძალისხმევა და შანსის გამოყენება, როდესაც ხელსაყრელი მომენტი დადგება. ეს ზუსტად ის პოზიციაა, რომელიც ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან, ევროპელებისგან და ამერიკელებისგან, გვესმის.

— ქართველები ითმენენ?

— ამერიკაში ან ევროპაში თმენა აბსოლუტურად განსხვავდება ქართველის თმენისგან. ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენს მეზობლებთან, მათ შორის, რუსეთთან თანაცხოვრება. თუმცა ჩვენმა რუსმა მეზობლებმა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპირება მოახდინეს და ამით საქართველო დაანაწევრეს. უფრო რომ განვავრცოთ, სამხრეთი კავკასია არის მღელვარებით სავსე, მგრძნობიარე სამეზობლო, სადაც ხშირია ომები, კონფლიქტები და დავები. ეს არის რეგიონი, სადაც ყველა რაღაც შიდა თუ გარე ცვლილებების პროცესშია. რეგიონის ყველა ქვეყანა — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი და ირანი — გარკვეული მიმართულებით მოძრაობს, მაგრამ არა ერთი მიმართულებით: თითოეული მათგანი თავის კონკრეტულ სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ ტრაექტორიას მიჰყვება. ამ შემთხვევაში საქართველო გზაჯვარედინია და უამრავი სტრატეგიული ვექტორი აქ იყრის თავს, აქ იკვეთება, რაც წარმოშობს სხვადასხვა სინერგიას, თუმცა იშვიათად სტრატეგიებს, რომლებიც, თავის მხრივ, ჯამში ნულოვანი ტიპის სტრატეგიებია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე რუსეთს ეხება.

ჩვენს გვსურს რუსეთთან კეთილმეზობლური თანაცხოვრება, მაგრამ არ გვსურს რუსეთში ცხოვრება. ეს არის საქართველოს გზავნილი. სათანადოდ აღიქვამენ თუ არა ჩვენი რუსი მეზობლები ამ გზავნილს, ეს სხვა საქმეა. ჩვენს რუს მეზობლებს ქართველებთან, ევროპელებთან, ამერიკელებთან და ჩინელებთან შედარებითაც კი „სტაბილურობის“, „უსაფრთხოების“, „კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის“ ფუნდამენტურად განსხვავებული აღქმა აქვთ.

— როგორ შეიძლება საქართველომ ეს შეცვალოს?

— იქიდან გამომდინარე, რომ გეოგრაფიის შეცვლა არ შეგვიძლია, ჩვენ უნდა მოვახერხოთ რუსეთთან ერთად თანაცხოვრება, რაც არ ნიშნავს ჩვენი სტრატეგიული მიზნების დათმობას. კარგად მოგეხსენებათ, რომ რუსებთან ურთიერთობა სულაც არ არის სასიამოვნო საუბარი ერთ ფინჯან ყავაზე: კეთილგანწყობილი, კონსტრუქციული დიალოგებისთვის რუსები სათანადო პარტნიორები არ არიან. რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის უარყოფითი და დაძაბულია, მაგრამ, ამავდროულად, არ არსებობს ალტერნატივა, რომელიც შეცვლიდა კომუნიკაციასა და მოლაპარაკებებს ჩვენთვის სასურველი კომპრომისის მისაღწევად, რათა საქართველოს საშუალება მიეცეს, იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

ვინ იფიქრებდა, რომ 1975 წელს ჰელსინკში აშშ-ს კვლავ არ ეღიარებინა ბალტიის ქვეყნების ანექსია, რამაც ერთ მშვენიერ დღეს ამ ქვეყნებს თავისუფლად სუნთქვის საშუალება მისცა. მე რეალისტი ვარ და მჯერა შეუძლებელი ოცნებების ახდენის შესაძლებლობის. ამის უფლებას მე ბალტიის ქვეყნების მაგალითი მაძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე ვსაუბრობთ, ჩვენი დღის წესრიგი ამ „გაწევრიანების“ პროცესით არ ამოიწურება! ერთი მხრივ, ამ პროცესში საქართველოს მიღწევები სასარგებლო გავლენას მოახდენს ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთზე. ჩემი მოკრძალებული აზრით, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების ცნებები, ისევე, როგორც სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისა, განუყოფელი, ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებულია. საქართველო მარტო ვერ იქნება უსაფრთხო და სტაბილური ქვეყანა. ბალტიის ქვეყნების რეგიონალური იდენტობის ცნობიერება მათი წარმატების საწინდარია. მგონია, რომ ჩვენ არ გვაქვს მსგავსი რეგიონალური იდენტობა, თუმცა ამ გზას უნდა დავადგეთ. სამწუხაროდ, ჩვენი მენტალური რუკები, დიდი წარმოსახვები და ცრურწმენები ამაში ხელს გვიშლის.

მეორე მხრივ, ალბათ ერთგვარი კარგი გავარჯიშებაა, თავი იმ ქვეყნებს შეადარო, რომლებთან ერთობა და მსგავსებაც გსურს, განსაკუთრებით, ჩვენი სამეზობლოს მიღმა მყოფ ქვეყნებს, როგორებიც არიან ლატვია და სხვა ევროპელი პარტნიორები.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთმა შეძლო ყურადღება საქართველოდან უკრაინასა და სირიაზე გადაეტანა?

დავით უსუფაშვილი: დიახ, ერთი მხრივ, საქართველოზე რუსეთის აშკარა ზეწოლა შემცირდა, რადგან ის სხვაგან, უკრაინასა თუ სირიაში, გაიზარდა, მაგრამ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაში რაიმე ცვლილების დანახვა რთულია. მათ სტრატეგიულ მიმართულებებში და მიზნებში თითქმის არაფერი შეცვლილა. რუსეთთან დაძაბულობის შემცირება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული ძალისხმევის დამსახურებაა.

მიუხედავად ამისა, ოკუპაცია ძალაშია, საფრთხე ისევ არსებობს. რუსეთს ვერ ვატყობთ, რომ ის აპირებს, დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოს მსგავსად, აღიაროს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს. ჩვენ აღარ გვსურს ახალი ომი ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ გვინდა ვიყოთ პრობლემების მოგვარების პროცესის ნაწილი და არა მათი წარმოშობის მიზეზი.

— რამდენად გავლენიანია საქართველოში რუსული პროპაგანდა?

თედო ჯაფარიძე: რა თქმა უნდა, მას გავლენა აქვს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ მომწამვლელ გავლენას განიცდის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20%, ისევე, როგორც ბევრი ევროპული სახელმწიფო და ამერიკის შეერთებული შტატები — „Rossia Today“-ს ბევრი მაყურებელი ჰყავს. თუმცა მე ამ მაჩვენებელს დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. დედააზრი ის არის, რომ ჩვენ რუსულ პროპაგანდისტულ მანქანას შეუპოვრად უნდა ვებრძოლოთ, მიუხედავად მისი შედარებით მინიმალური გავლენისა. მე უფრო მაშფოთებს საქართველოში დასავლეთისადმი მხარდაჭერის კლების ტენდენცია, რასაც თავისი ლოგიკური მიზეზი აქვს.

თუ ჩვენ ნატოზე ვისაუბრებთ, ნატოს ერთი სამიტიდან მეორემდე გამუდმებით გვესმის, რომ საქართველო მზად არის და უფლებამოსილიცაა, გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამ „ეს“ თუ „ის“ მაინც შესასრულებელი დარჩა. შემდეგ სამიტზე კი გაისმის: „საქართველომ ეს გააკეთა? მაშინ ახლა ეს გააკეთოს“. ჩვენი მეგობრები გამუდმებით ამბობენ, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა. ეს კარი მბრუნავ კარს ჰგავს: თითქოს შიგნით შეხვედი, მაგრამ წამში გარეთ აღმოჩნდები. შედეგების ნიშნული სულ ხელიდან გვისხლტება და წინ მიიწევს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენთვის გასაგებია, რომ ნატოსა და ევროკავშირს საკუთარი დღის წესრიგი აქვთ, მაგრამ საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის გულახდილი და მკაფიო გზავნილებია საჭიროა. როდესაც ერთი სიცოცხლე გეძლევა, ძალაუნებურად გინდა შენს ცხოვრებაში დადებითი მოვლენები ხდებოდეს. ასეთ „ჩამოკიდებულ“ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა ძალიან რთულია! თუმცა გასაგებია, რომ ჩვენ მოთმინება გვმართებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ საქართველო მყარი დემოკრატიის ქვეყანა გახდეს. შემდეგ ყველაფერი თავისით მოგვარდება. თუ ჩვენ ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე ვისაუბრებთ, ეს შესაძლებელია მოხდეს 10, 15 ან თუნდაც 50 წელიწადში, როგორც ამას სხვადასხვა ევროპელი პარტნიორი გვეუბნება, მაგრამ ეს შეიძლება უფრო ადრეც მოხდეს. სასწაულები ხდება. საქართველო ამ შესაძლებლობისთვის მზად უნდა იყოს და არავის არ უნდა მისცეს იმის თქმის საშუალება, რომ „ქართველებს შანსი ჰქონდათ და ეს შანსი ხელიდან გაუშვეს“.



— ქართველები ისევ ენთუზიაზმით უყურებენ საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების საკითხს?

დავით უსუფაშვილი: საქართველოში პოლიტიკოსები ხალხის ნებას მიჰყვებიან და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. მე ვიტყოდი, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია, უპირველესად, ეგზისტენციალური და კულტურული საკითხია. ქართველებისთვის ევროინტეგრაციის პროცესი ისტორიული არჩევანია. შეიძლება ახლა არ არის დრო და ადგილი ისტორიული დისკურსისთვის, მაგრამ თუ რამდენიმე საუკუნით უკან წავალთ, ვნახავთ, რომ დისკუსია თემაზე „სად ვეძებოთ სტრატეგიული პარტნიორები“ მაშინაც იმართებოდა, ხოლო როდესაც ჩვენს ხალხს ჰქონდა არჩევანის საშუალება, ის ყოველთვის ქრისტიანული ევროპისკენ იყურებოდა. უკვე საუკუნეებია, რაც ჩვენ ევროპულ ცივილიზაციასთან ვახდენთ იდენტიფიცირებას. რა თქმა უნდა, XX საუკუნეში კომუნიზმმა დაანგრია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება და კულტურა, არამედ რუსულიც.

რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ჩვენ ევროპული დემოკრატიების კლუბში გაწევრიანებას ვცდილობდით. სანამ ჩვენ იმისთვის ვიბრძოდით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა დაგვეცვა, ევროპულმა ქვეყნებმა შექმნეს კიდევ უფრო დახვეწილი, დემოკრატიული სტრუქტურები ევროკავშირისა და ნატოს სახით. მაშასადამე, სადავო არ არის, უნდა გავწევრიანდეთ თუ არა ევროკავშირსა და ნატოში; საუბარია იმაზე, თუ როგორ გავაკეთოთ ეს რაც შეიძლება სწრაფად. ჩვენ მზად ვართ, გავუმკლავდეთ გამოწვევებს ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად, ვიდრე წევრობისგან მომდინარე სარგებელს მივიღებთ. ცხოვრება მარტივი არ არის და ევროპასაც თავისი პრობლემები აქვს, მაგრამ ჩვენ უფრო ბედნიერები ვიქნებით, რომ გვქონდეს ასეთი პრობლემები და არა ისეთი, როგორიც წარსულში გვქონდა.

— საქართველოსა და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ვითარდება თუ საქართველოს უფრო მეტი სურს და მეტს მოელის?

თედო ჯაფარიძე: ჩვენ ნორმალური ხალხი ვართ. რა თქმა უნდა, გვსურს მეტი შედეგი დავინახოთ.

ჩვენ გვესმის, რომ საქართველო არის ძალიან პატარა ნაწილი ძალიან დიდ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე. როდესაც ჩვენ ნატოს მხრიდან მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ, კარგად ვიცით, რომ ეს დისკუსია მხოლოდ საქართველოს არ ეხება და რომ აქ უფრო დიდი საკითხები და განტოლებებია, მათ შორის, ევროპული, შუააღმოსავლური და, ზოგადად, მსოფლიო უსაფრთხოების კონტექსტში. ჩვენ გვესმის, რომ ევროპელებსა და ამერიკელებს სჭირდებათ რუსეთი, რათა გადაჭრან მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული, უფრო გადაუდებელი საკითხები, ვიდრე საქართველოს ნატოში გაწევრიანებაა. ჩვენ არც უმეცრები ვართ და არც გულუბრყვილოები: ჩვენ გვესმის, რისთვის შეიძლება ევროკავშირსა და ნატოს სჭირდებოდეს რუსეთი, როგორც „მოთანამშრომლე პარტნიორი“. აქ საქმე მეგობრობას კი არა, არამედ დიდ პოლიტიკას ეხება. ჩვენ გვესმის, რომ რუსეთი საჭიროა, როდესაც საქმე ეხება ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა ტერორიზმი, სირია, ირანთან მოლაპარაკებები, შეიარაღების კონტროლი და სხვა, უფრო დიდი საკითხები, ვიდრე საქართველოა. მაგრამ, ზოგადად, დასავლეთმა და, უფრო კონკრეტულად, ევროპელებმა და ამერიკელებმა, ნათლად უნდა გაიგონ, რომ მათ ვერ ეყოლებათ ასეთი „მოთანამშრომლე რუსეთი“, თუ ის ვერ შეძლებს აღიაროს თავისი მეზობელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. რუსეთი არ იქნება ევროპასთან და ამერიკასთან „მოთანამშრომლე“, თუ მოსკოვი ვერ შეურიგდება ჩვენს დამოუკიდებლობას. შეუძლებელია საქართველოსთან,

უკრაინასთან, აზერბაიჯანთან ან მოლდოვასთან მიმართებით იმპერიალისტური პოლიტიკა გქონდეს და სხვებთან კონსტრუქციული იყო.

— რუსეთისთვის სანქციების გახანგრძლივება აუცილებელია?

დავით უსუფაშვილი: რუსეთი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. სანქციები უმნიშვნელოვანესია და, რაც უფრო ყოვლისმომცველი იქნება ისინი, მით უკეთესი. კრემლთან ნებისმიერი სახით კომუნიკაციისას აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოებამ გაგზავნოს მკაფიო მესიჯი, თუ რა არის ცუდი ქცევა და რა — კარგი. ამის ნათელი მაგალითია ტერორიზმი. როდესაც საქმე ასეთ საერთო და დიდ პრობლემას ეხება, რუსეთს არ უნდა ვუთხრათ: „ეს შენი საქმე არ არის“. ამავდროულად, რუსეთს არ უნდა მივცეთ უფლება, აკეთოს ის, რასაც სირიაში აკეთებს. ისლამური სახელმწიფოს საწინააღმდეგო დასავლური კოალიციის მიწვევის გარეშე კონფლიქტში ჩართვით რუსებმა საკუთარი, განცალკევებული თამაში წამოიწყეს.

— რუსეთს ისლამური სახელმწიფოს საწინააღმდეგო დასავლური კოალიციისთვის მიწვევა რომ ეთხოვა და მისთვის უარი რომ ეთქვათ, განა ვერ შეძლებდა იმავეს გაკეთებას?

— დიახ, შეძლებდა. თუმცა როდესაც ისეთი კოალიციები და ინსტიტუტები, როგორებიც არიან ევროკავშირი და ნატო, დღეებსა და ღამეებს ხანგრძლივ დისკუსიებში ატარებენ და მკაფიო დღის წესრიგი არა აქვთ, რუსეთი სწრაფად ქმნის ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც შემდგომ გამკლავება სჭირდება. მაშასადამე, დემოკრატიულ სამყაროში უფრო ძლიერი ლიდერობაა საჭირო იმის დემონსტრირებისთვის, რომ რუსეთის ქმედებებს სათანადო სასჯელი მოჰყვება.

— რა უნდა გაკეთდეს ისლამური სახელმწიფოს დასამარცხებლად? ამისთვის რუსეთის დახმარებაა საჭირო თუ ამას მათ გარეშეც შევძლებთ?

— უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, კარგად უნდა გავიაზროთ, რას უნდა გავუმკლავდეთ, როდესაც ისლამურ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ. ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ესენი არ არიან უბრალოდ შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც სხვებს ესვრიან, ეს უფრო სიღრმისეული რამაა; ეს არის იდეოლოგია, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, სიღარიბე და სიბრაზე. ამასთანავე, ჩვენ ვცხოვრობთ ციფრულ სამყაროში, სადაც ინტერნეტი ტერორისტებისთვის ახალი მებრძოლების მოძიების ეფექტიანი საშუალება გახდა. ახლა ისინი ახერხებენ თავიანთი მცდარი მესიჯი მილიონობით ადამიანს მიაწოდონ. ისინი, ვისაც არასათანადო განათლება აქვს, მათ მახეში ადვილად ებმებიან.

ყველა ეს ფაქტორი ქმნის საშიშ კომბინაციას. ამ პრობლემების გადასაჭრელად გვჭირდება რუსეთი, ჩინეთი, ავსტრალია, ჩილე... ყველა. ეს გლობალური პრობლემაა. თუმცა პრობლემის გადაწყვეტა არ არის უფრო მეტი იარაღი, უფრო მეტი ჯარისკაცი ან ყურანის უკეთესი ინტერპრეტაცია — ეს მეტისმეტად მარტივი მიდგომაა. მიმაჩნია, რომ გვჭირდება მსოფლიო კონფერენციათა სერიები, რომლებიც ამ საკითხისკენ იქნება მიმართული, რათა გავიგოთ, საიდან მოდის ამგვარი აგრესია და ექსტრემიზმი. ჩვენ ვხედავთ, რომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიდის ხალხი ისლამურ სახელმწიფოში. ის შავი ხვრელივითაა და სხვადასხვა ადგილიდან იზიდავს ადამიანებს.

— ვარაუდობთ, რომ რუსეთის პოლიტიკაში რაიმე ცვლილებები მოხდება?

თეიდო ჯაფარიძე: ამის განჭვრეტა, ზოგადად, ადვილი არ არის, განსაკუთრებით, რუსეთის შემთხვევაში — წინასწარმეტყველი არ ვარ. დღევანდელი რუსეთი განსხვავდება 10 წლის წინანდელი რუსეთისგან. ცვლილებები ხდება. იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ყველას თავისი ლეგიტიმური ინტერესები აქვს. ამ დასკვნამდე მისასვლელად საჭიროა დრო და შეიძლება თაობათა ცვლაც. მომთმენები და რეალისტები უნდა ვიყოთ. ყოველდღე რუსებზე არ უნდა ვიწუწუნოთ, საკუთარ თავსაც უნდა დავაკვირდეთ: დარწმუნებული ვართ, რომ ყოველთვის სწორი მიმართულებით ვდგამთ სწორ ნაბიჯებს? ჩვენს ქვეყანას შეუძლია მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს დაეყრდნოს? როდესაც საქართველო ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო გახდება, უფრო მარტივად შეძლებს ისეთ მეზობლებთან გამკლავებას, როგორიც რუსეთია.

◎ მადლიერება

მაია ქარაბაკი — სიცოცხლის ქომაგი

მაია ძარაბაკი საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე, საქართველოს კოლოპროქტოლოგთა ასოციაციის ვიცეთავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გამორჩეული პიროვნებაა, ექიმი, რომლის სახელსაც უკავშირდება კლინიკის ისტორია და დღევანდელობა, უამრავჯერ ჩატარებული ოპერაციებით, განკურნებული ავადმყოფებითა და მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომებით.

ასეთი ექიმები წერენ ჩვენს ურთუულეს დროში ქართული მედიცინის ქრესტომათიის დაუვიწყარ ფურცლებს და დასამახსოვრებელ სახელებად რჩებიან თაობებს ქართველთავე საბედნიეროდ.

საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი გელა მუხაშავრიაა, სულით ხორცამდე ქართველი ექიმი, რომლის გვერდითაც მაია ქარაბაკმა უამრავი წელი გაატარა და ვისი უშუალო ხელმძღვანელობითაც ბრწყინვალედ დაეუფლა ურთულეს სპეციალობას.

კლინიკაში დაარსებიდან დღემდე (1983წ) 23000-ზე მეტი ქირურგიული ჩარევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა გავლილი აქვს 170 000-ზე მეტ პაციენტს. ამ სამედიცინო დაწესებულებაში უმკურნალეს, ოპერაცია ჩაუტარეს და საბოლოოდ გამოაჯანმრთელეს დიდი ბრიტანეთის, კანადის, შვედეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ინდოეთის, ირანის, ერაყის, ჩეხეთის, არგენტინის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის მოქალაქეები.

და მაინც, საიდან მოდის მიღწევები? ინსტიტუტში მიღებული საფუძვლიანი ცოდნიდან კონკრეტულ სპეციალობაში დახელოვნებისაკენ — ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულით.

მედიცინის დარგი ხომ უნიკალურია სხვა საერო დარგებთან შედარებით იმიტომ, რომ ექიმი ღმერთსა და პაციენტს შორის შუამავალია და ამ შუამავალს ღალატი არასოდეს ეპატიება — ეს ქალბატონ მაიას მოსაზრებებია. ისიც, რომ: სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრება არ ნიშნავს უკვე ექიმობას, ეს არის მხოლოდ იურიდიული უფლება — ექიმად იმუშაო, პრაქტიკული და თეორიული ცოდნა დააგროვო და პროფესიონალად ჩამოყალიბდე.

ყველაზე მთავარი კი, რაც დოქტორ გელა მუხაშავრიასგან ისწავლა, ის არის, რომ ექიმს ოჯახის წევრის და ე.წ. „უცხო“ პაციენტის მკურნალობის საკითხის გადაწყვეტისას ზუსტად ერთნაირი პოზიცია უნდა ჰქონდეს.

სამედიცინო დაწესებულების ამ პოპულარობის მიღმა დგას და 23 წელია, აქ წარმატებით მუშაობს ქალბატონი მაია ქარაბაკი ტრადიციული ექიმის განუმეორებელი ხიბლით, გულთბილი ურთიერთობებით ავადმყოფებთან, შეუბღალავი პროფესიული ზნეობრიობითა და მაღალი პიროვნულ-მოქალაქეობრივი მახასიათებლებით, რაც, ალბათ, რიგითი ავადმყოფების თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე, თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომა, რასაც, ეჭვგარეშეა, ქალბატონი მაია ისევე უშურველად ახმარს გონებასა და სულიერებას, როგორც ავადმყოფებს. ეს შრომებიც ხომ, ბუნებრივია, არა პირადი ამბიციების, არამედ იმის გამო იწერება, რომ ქართულმა სამამულო მედიცინამ თავისი აღმოჩენებით, მიგნებებითა და მიღწევებით ბევრი რამ პოზიტიურით შეცვალოს და მსოფლიოსაც გააცნოს ჩვენი მიღწევები მედიცინის დარგში.

მაია ქარაბაკი თანაავტორია გელა მუხაშავრიასთან ერთად პროქტოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელოსი, რომელიც 1998 წელს გამოიცა.

სწორედ ამ ექიმი ქალის სახელს უკავშირდება ჰემოროიდული დაავადების კლინიკურ-მაკროსკოპიული კლასიფიკაციის შემუშავება, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება დიაგნოზის დადგენა. მის მიერ არის შემუშავებული დიპლომის შემდგომი განათლების სარეზიდენტო პროგრამა კოლოპროქტოლოგიაში, მასვე ეკუთვნის მსოფლიო მნიშვნელობის ცალკეული სამეცნიერო შრომები, რომელთა წარდგენაც მოხდა იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში — ორჯერ.

ჰემოროიდული დაავადების ქირურგიული მკურნალობის საკუთარ მეთოდებზე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების: გელა მუხაშავრიასა და მაია ქარაბაკის სამი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში. დავსძენთ, რომ აღნიშნული მეთოდით ოპერაციის გაკეთების შემდეგ დაავადების განმეორების ალბათობა აღარ არსებობს.

— კარიერაში წარმატების მიღწევისათვის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც ვისწავლე გელა მუხაშავრიასაგან, აღნიშნავს ქალბატონი მაია, არის შემდეგი: გასინჯვის დასრულებისას პაციენტს ვუბეჭდავთ და ვატანთ დეტალურ ჩანაწერებს თავისი რეალური მდგომარეობის, მკურნალობის ტაქტიკის, პროგნოზის, ოპერაციის საჭიროების თუ არასაჭიროების და ა.შ. შესახებ. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის თვალში მედიცინას, სამწუხაროდ, არასახარბიელო რეპუტაცია აქვს, ძალიან მნიშვნელოვანია ეს ნაბიჯი, ანუ ამბულატორიულ პაციენტებს ხელმოწერილი დოკუმენტური მასალა გადაეცემა ხელთ, რომლის სისწორეზეც პასუხისმგებელი ვართ. ეს ამაღლებს მათ თვალში ჩვენს საიმედოობას და აიოლებს მათთან ნორმალურ ურთიერთობებს.

ქალბატონი — მამაცი გულითა და უნარ-ჩვევებით, ქალბატონი — შეუდარებელი კომუნიკაციითა და სიყვარულის უდიდესი ნიჭით, ქალბატონი — შეუმცდარი ინტუიციითა და საკუთარ თავში აღმოჩენილი მედიკოსის რწმენით.

... ის არასოდეს იბნევა, ის არასოდეს ტოვებს „ბრძოლის ველს“, ის არასოდეს არიდებს მზერას სიკვდილთან მებრძოლ პაციენტსაც კი.

... მას სჯერა და კრიტიკულ სიტუაციაში ყველა საშუალებით აიძულებს პაციენტს, რომ არ დანებდეს რეალობას და ექიმთან ერთად გაიაროს ბეწვის ხიდი სიკვდილის უარყოფით.

იგი პრაქტიკულად არანორმირებული რეჟიმით მუშაობს, — დასვენების, შვებულების გარეშე. არასოდეს ელოდება, რომ სხვებმა გააკეთონ რაიმე, თვლის, რომ ყველაფერი, საჭიროების დროს, მისი გასაკეთებელია და ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ მცირე შენიშვნაც არავისგან დაიმსახუროს.

და, მუდმივად დაკავებულ მედიკოსს, მაინც რჩება დრო, უსმინოს თავისთვის საყვარელ ჰაუსის ჟანრის მუსიკას, იკითხოს საყვარელი მწერლები: სომერსეტ მოემი და ო'ჰენრი, ფილოსოფოსებიდან კი, სენეკა, რომელიც მორალური ნორმების დაცვასა და სინდისის მარადიული ღირებულებების სწავლებით დღემდე უადვილებს წარმატებულ ქალბატონს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმას...

ამ გამორჩეულ ქალბატონზე ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდ და კეთილ თვისებად ადამიანში მადლიერების გრძნობას მიიჩნევს. ეს გრძნობა ხომ, ავტომატურად აკეთებს შობილებს და სხვებისთვისაც სიკეთეს აკეთებინებს ნებისმიერ ადამიანს, მითუმეტეს ექიმს, რომელსაც ერთდროულად ასობით ავადმყოფი ჰყავს.

... არადა, უნდა ვაღიაროთ, რომ ავადმყოფები ამ სფეროში მომრავლდნენ. ბევრი — ექიმბაშის გზას ირჩევს და, თავის საბედისწეროდ, გვერდს უვლის ზემოაღნიშნულ სამედიცინო ცენტრს, რომელიც მსოფლიო ლიდერია დღეს ანორექტული დაავადებების, განმეორების გარეშე ქირურგიული მკურნალობის საქმეში.

ისიც სათქმელია, რომ აქ პაციენტისთვის ოპერაციის თავიდან ასაცილებლად თერაპიული მკურნალობის დანიშვნა — გამოყენება ხდება უსისხლო მეთოდებით.

კლინიკა მდიდარია მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ექიმებით (გია მუხაშავრია, ქეთი ცანავა, ლარა იმნაძე, დავით ღოღობერიძე, მამუკა გრიგალაშვილი) და სხვა მომსახურე პერსონალით (ლალი ხმელიძე, ელზა მაისურაძე, დოდო მნათობლიშვილი, ნატო ქრისტესაშვილი, ვახტანგ სანაია...).

კლინიკა და აქ გატარებული წლები მაია ქარაბაკისთვის, ერთი მხრივ, გრძელი, საინტერესო, განუმეორებელი ისტორიაა, რომლის წაკითხვა თავადაც ჰგვრის სიამაყეს, მის კოლეგებსაც და იმ სამედიცინო უნივერსიტეტს, რომელიც წარმატებით დაამთავრა...

...ბიოგრაფია გრძელდება... კლინიკის ეზოში მშვენიერი გარეგნობის, მოხდენილი, პირმშვენიერი, თვალხატულა ქალბატონი შემოდის, ისე, როგორც მას, ერთადერთს, სჩვევია, ხალისიანად, ათლეტურად, საკუთარ თავში დაჯერებული ნაბიჯებით. იცის მან, გასავლელი განვლილ გზაზე უფრო რთულია, მაგრამ წარსულიც და აწმყოც ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. ექიმობა გრძელდება, ერთგულებით, სიყვარულით, მიზანსწრაფულად. მაია ექიმს უამრავი ავადმყოფი ელოდება. მათ თვალში ეს ქალბატონი აღმატებული პიროვნებაა, რომელსაც, ჭეშმარიტად მოუხდებოდა პოეტის სიტყვები:

„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“.

პაციენტები:
ნინო კაკიაშვილი,
თათია გელაშვილი,
ელენე მახათაძე.

P. S. თავად ქართული სიტყვის უბადლო სპეციალისტს, მართლწერისა და მართლმეტყველების ღრმად მცოდნეს, ხატოვანი, გამომსახველობითი წერის გემოვნებიან ავტორს, უბრალოდ, კარგ მექართულეს, შევბედეთ ზევით აღნიშნულის დაწერა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ცდაა, მისი პიროვნებისა და ექიმობის დასახასიათებლად.

მასთან პირადი ურთიერთობები და მისდამი ჩვენი მადლიერება კი, სიტყვებს მილმა და სტრიქონთ შორის სივრცეში დარჩა.

◎ სიტყვა – იერიშზე!

როცა ყველა მართალია და ყველა ტყუის,



ანუ არა მხოლოდ სალაღობოდ და ამხანაგთა სათრეველად...

შოთა ნიშნიანიძის ეპიგრამების გამო

გამომცემლობა „ბაკმა“ კიდევ ერთი კარგი საჩუქრით გაახარა სხარტი პოეტური აზრის პატივისმცემელი მკითხველი – ცალკე კრებულად გამოსცა დიდ წინაპართა მწკრივში აწ უკვე ღირსეულად ჩამდგარი პოეტის შოთა ნიშნიანიძის „ეპიგრამები“ (გამოსაცემად მოამზადა პოეტის მეუღლემ, ჩინეზულმა კალმოსანმა თამარ ჩიჯავაძემ). კრებულის მხატვრული რედაქტორია რუსუდან მოსიძე, რედაქტორია თვითონ „ბაკმის“ დირექტორი, ჩვენი პატარების საყვარელი მწერალი-მეზღაპრე ბონდო მაცაბერიძე. კრებულის მხატვრობა და დიზაინი ეკუთვნის ელენე ვარამაშვილს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შოთა ნიშნიანიძის ოჯახი მადლობას უხდის გამომცემლობა „ბაკმს“ წიგნის სრულიად უანგაროდ გამოცემისათვის („ბაკმა“ იცის ჭეშმარიტი პოეტური სიტყვის ფასი!).

შოთა ნიშნიანიძის „ეპიგრამების“ ამ პატარა კრებულს წამძღვარებული აქვს პოეტის მეგობრის გურამ გოგიაშვილის შესავალი წერილი, რომელსაც დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს ვთავაზობთ.

იმ ჭეშმარიტ შემოქმედ ქართველ მეოცესაუკუნელთა შორის, ვისაც ბედმა თუ დრომ არა მარტო შემახვედრა, არამედ მაძმაკაცა კიდეც, და რომელთაც საქართველოს, როგორც ძველთაგანვე მოაზროვნე და სხარტი, მოსწრებული სიტყვის ადამიანთა ქვეყანას, კარგა გვარიანი ნამიჯი გადაადგმევინეს ოცდამეერთე საუკუნისკენ, მაგრამ დროში სიახლოვის გამო, ვით საკუთარ წამწამთ, ჯერ მთელი სიცხადით ვერა ვხედავთ, პირადად ჩემთვის ერთი პირველთაგანი შოთა ნიშნიანიძეა, ვისაც ჯერ სიცოცხლეშივე უკლავდა გულს ყოველგვარი უსამართლობა და სიკვდილის შემდგომაც ახლა უკვე ოდენ მამონას თაყვანისმცემელი საზოგადოების ცხოვრების წესად ქცეული უსამართლობას იმ მეორე გრძელი სოფლიდანაც ებრძვის ხმალსაებრ კალამამოწვდილი.



ეს ოთხი სტრიქონიც მაშინდელია, სანამ იმ გრძელ გაღმა სოფელში გააბიჯებდა:

„ამ დროში ყველა ერთმანეთის
ბრალმდებელია,
**ამ დროში ვაის გავეყარე და
შევხვდი ვუის,**
ამ დროში მსაჯულს და გამკითხველს აღარ ელიან.
ამ დროში ყველა მართალია და ყველა ტყუის“.

ეპიგრამა შოთა ნიშნიანიძისთვის ერთგვარი სილა იყო, სილაქი, რომელსაც იგი დროდადრო საზოგადოების ამა თუ იმ ვაიწევრს გაულაწუნებდა ხოლმე უღირსი, არაკაცური საქციელისთვის. ჩემსავით, ალბათ, ბევრს ახსოვს, რა ამბავი ატყდა, როცა ორი დიდკაცი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა, და ერთმა, უფრო ძლიერმა, ოთხ კედელშიც კი გამოამწყვდია თავისი გუშინდელი თანატახტელი, და ზედდატანებით შოლტის შხეილივით გაისმა პოეტის ხმა:

**„წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს,
ხდება, ციხეში აგზავნის“.**

ეს ცხოვრებისეულად მართალი სტრიქონები კარგი საბაბი გამოდგა მოშურნეთათვის, რომ ჩვეულებისამებრ დატრიალებულიყვნენ, არც ამჯერად ეღალატათ ენის ზიდვის თავიანთი ხელობისთვის, და სიმართლის თამამი მთქმელობა პოეტს მწერალთა კავშირის თავკაცობიდან წასვლის ფასად დაუსვეს.

მაგრამ პოეტს საზოგადოების გონს მომყვანი ისრები არ დაუმტვრევია, არც ეპიგრამის მშვილდი გადაუგდია, ისევ მოიმარჯვა ძველებურად და სწორედ ერთ-ერთ იმ მოშურნეს გაუწუწუნა:

**„არც ქვემძრომი ხართ და არც შემძრომი,
თქვენ ხართ ოსტატი სხვა აბეზრობის,
თქვენ ცხებული ხართ ზეგარდმო ნიჭით...
ჩემო ძვირფასო, თქვენ ხართ ზემძრომი“.**

ამ „ამხანაგის სათრეველაში“ პოეტი, უწინარესად, დიდკაცობასთან კუდგადაბმულ იმ „ამხანაგს“ გულისხმობდა, „ვეფხისტყაოსნის“ უთუოდ ღირსეული სეხნია მხოლოდ და მხოლოდ გულისტკენის მიზნით „ბუსთაველად“ რომ მონათლა. მაგრამ არც სწორედაც რუსთაველის გენეტიკურ მემკვიდრე ეპიგრამისტს დაუყოვნებია:

**„ცხრა ქუდი გხურავს და ხარ გულდიდად,
ხელმწიფის კარზე ტუზი ხარ, კიკო,
მაგრამ ვერ ვიტყვი, მაგ ცხრა ქუდიდან
თუნდაც ერთ-ერთი ნამუსის იყოს“.**

და პარლამენტის გზაზე შემდგარ უნაბოსობის ცხრაქუდიანს ეგრევე დაადევნა:

**„აღარ მარხულობს ახლა,
აღარც სინდისი ქენჯნის,
უწინ იყრიდა მახათს,
ახლა იყარა კენჭი“!
ისე ძვირი ხარ, მახათო,
ისე იაფი, კენჭო, –
მთავრობის კაცად გახადე,
ვის კაცობაზეც ვეჭვობ“.**

შოთა ბევრი სხვა თავისი თანამედროვე პოეტისგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ ბავშვივით ახარებდა სხვისი მადლიანი სიტყვა. ის მუდმივად კითხულობდა და მუდმივად სწავლობდა. მახსოვს, რა გახარებული მოვიდა ერთხელ რედაქციაში. წინადღეს პოეტ შოთა ქავთარაძეს თავის მიერ ქართულად გადმოენებული ესპანური კლასიკური ეპიგრამის პატარა, კოკროჭინა წიგნი მიერთმია („ინანიებდა ფრანცისკო ცოდვებს“). წუხელ ლამის ყველა ეპიგრამა დავიზეპირეო. ყოჩაღ (შოთა ქავთარაძეზე ამბობდა), ესპანური ეპიგრამა ქართული პოეზიის ფაქტად აქციაო. მერე საუბრებში ხშირად იშველიებდა ქართულად „უაქცენტოდ“ ამეტყველებულ ენაკვიმატ ესპანელთა ამ ეპიგრამებს მექრთამე მოსამართლეებზე, უნიჭო კალმოსნებზე, მოღალატე ცოლებზე, უმეცარ ექიმებზე, შურიან, ძუნწ ადამიანებზე... და შესავალ წერილს უწონებდა ლევან ბრეგაძეს, რომელმაც უკვე შემდგომ ასევე ნიჭიერად, წამკითხველის გულში მოსახვედრად გადმოიღო გერმანული ეპიგრამა.

ასე რომ, ჩვენი ქართველი მეეპიგრამე ერთგვარ შეჯიბრში ჩაება ევროპელ-სატირიკოს ეპიგრამისტებთან, თუმცა, იმათ მიმართ გულწრფელი პატივისცემის მიუხედავად, მაღალმხატვრული ეპიგრამის ნიმუშად ყოველთვის მაინც ჩვენი ბესიკის ეპიგრამა მოჰყავდა მზეჭაბუკ ორბელიანზე დაწერილი **(„დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულღადარაო, ეშმაკთ ბუდეო, ბეჭმრუდეო, კერპთ სადარაო“.) და ილია ჭავჭავაძის „გამოცანები“ („ახლისა და ძველის შუა ის ჩატეხილი ხიდია, ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა, ძმანო, ფეხებზე ჰკიდია“).**

ერთი სიტყვით, ცამდე მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ შოთა ნიშნიანიძე, როგორც ეპიგრამისტი, წელგამართული უდგას მხარში ენამწარე ევროპელთაც და სიტყვაგამჭრე ქართველ ეპიგრამისტებსაც.

ყველაზე მეტად, რაც ამ ჭეშმარიტად სიტყვის დიდოსტატს აწუხებდა, თანამედროვე ადამიანის უზნეობა და პირუმტკიცობა იყო. არ ვიცი, ბედმა თუ ძველ-ახალმა დრომ, ალბათ, უფრო ახალმა, შეუჩვეველმა დრომ, ბევრ ასეთ უზნეო და კაცობაშელახულ შინაურ თუ გარეულ ადამიანს შორის არგუნა ცხოვრება. ზოგი მჩხაბავი, ვისაც პოეტად თუ საერთოდ მწერლად მოჰქონდა თავი, მეტაფორმებსა და ეპითეტებს ჰპარავდა უსირცხვილოდ, ის კი არა, ხან ნიშნიანიძისეულ მთელ სტრიქონებსაც თავისად ასაღებდა. ამ გარეულ, გულში ლექსის ჭიაშემძვრალთ, არც ზოგიერთი „მოყვასი“ უდებდა ტოლს. სარგებლობდნენ რა პოეტის გულუბრყვილობითა და მიამიტობით, გარეულთა საპირისპიროდ, რომელნიც პოეტს შემოქმედებას უძარცვავდნენ, ამ ვითომ მოყვასთ, უკვე საბაზრო ეკონომიკას აყოლილთ, პოეტის ერთგვარი „პრივატიზაცია“ მოახდინეს თავის მოძრავ და უძრავ ავლადიდებიანად, რასაც უკვე ხანდაზმული, მაგრამ მაინც ახალ სიყვარულს ადევნებული პოეტი თითქოსდა უდრტვინველად იტანდა. თუმცა, ვინც მეტი დაკვირვებით ჩახედავს ამ დღემდე სრულყოფილად შეუფასებელი პოეტის უფსკრულსაებრ ღრმა შემოქმედებას, უთუოდ მტკივნეულად გადაედება იმისი შეფარული წუხილი საერთოდ ადამიანების ზღვარდაუდებელი სიხარბისა და უმადურობის გამო. ის თვითონ კი მთელ თავის მთავარ სიმდიდრეს უწინარესად კაცურ სინდის-ნამუსში ხედავდა და ამიტომაც იმეორებდა ხშირად, რომ არაფერი არ ჰქონია, გარდა ერთი სინდისისა, ეს მაშინ, როცა სხვის ქონებას დახარბებულ ცხრა თოკზე გადამხტართ ცხრა სინდისი ჰქონდათ.

და პოეტმა ისიც კარგად იცოდა, რომ:

**„ქვეყნად ყოველი უსამართლობა
მუდამ სიმართლის სახელით ხდება“.**

ყველაფრის მკადრებელ მედროვეს კი პირდაპირ პირში ახლიდა:

**„ცხრაპირიანი, ცხრათავიანი,
ცხრა ენით ცხრა პირს უცვლი კილოკავს“...**

ანდა:

**„ლუკმა პური რომ იშოვოს, სულიც შერჩეს საკუთრივ,
ცხრაჯერ გამძვრალ ცხრა ტყავისგან შეიკერა ცხრა ქუდი“.**

ეპიგრამისტი პოეტის გამჭოლ თვალს არც გვირგვინის იოლად მაძიებელთა დოღი გამოჰპარვია:

**„გვირგვინი უფლის განაჩენია,
ისევე როგორც ხალხის ქირქილი.
ყველა უთავოს რად ურჩევნია –
თავის მაგიერ ედგას გვირგვინი?
გვირგვინი, როგორც დრომაც გვიჩვენა,
შეშვენის მხოლოდ ჭკუით ფალავანს.
ზოგს უნდა თავის გამოსაჩენად,
ზოგს – უთავობის დასაფარავად“.**

არ ვიცი, რომელი ერთი გამოვარჩიო, რომელ ერთზე ვთქვა ჩემი აზრი, იმდენი მჯობის მჯობი და ცხოვრებისეული სიბრძნით დატვირთული ეპიგრამაა ამ პატარა კრებულში თავმოყრილი.

ამ ეპიგრამებში, როგორც წესი, ბევრი არამზადა, არაკაცი, გაიძვერა, მაღვალაკი, თვალთმაქცი, თითლიბაზი, ხელმაკვარანცხი, მატრაბაზი, ელეშუტე, ორყაბაზი, თაღლითი, მაღინდარა, ცრუპოეტი, ცრუგმირი, ცრუკეთილი, ცრუპოლიტიკოსი და ყოველგვარი მამაძაღლობით გამდიდრებულია თავლაფდასხმული, მაგრამ რა! უნამუსო ცხენზე იჯდა ფეხებს ატყაპუნებდაო, ანდა უნამუსოს აფურთხებდნენ და რა კარგი წვიმა მოდისო, სწორედ ისეა ამჟამად ჩვენს ეგრეთ წოდებულ ვითომ დამოუკიდებელ, თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში საქმე. იმ ერთი ზღაპრისა არ იყოს, დამტვრეულ გობთან აღმოვჩნდით, ანუ ბევრი გვინდოდა და რაც გვქონდა, ის ცოტაც დავკარგეთ.

გამოსავალი კი ვერა და ვერ გვიპოვია.

სწორედ ამ ჩვენს ამჟამინდელ პოლიტიკურ კირთებაზე ენამწარობს ეპიგრამისტი:

„– მეფეს გვირგვინი, ღმერთს სანთელი, მტერს კიდევ ხიშტი.

– ხალხს რაღა?

– რა და – ფოკუსები ან სულაც ხვიშტი...“

აი, სწორედ ამ „ფოკუსებისა და ხვიშტის“ შემსწრე პოეტმა თითქოს ანდერძად დაუტოვა ქალაქში წასულ ქიტესასა და ყაყიტას, ღმერთი არ გაგიწყრეთ, მიწა არ გაყიდოთ, პაპა არ დამარხოთ გაყიდულ მიწაშიო.

არადა, დღეს ქართველები ეროვნულნიღაბაფარებულ მავანთაგან გაყიდულ დიახაც ამ მიწაზე ვცხოვრობთ და ამ გაყიდულ მიწაში ვიმარხებით!

იქნებ ამიტომაც არ ისურვა პოეტმა მეოცე საუკუნიდან ახალ, ოცდამეერთეში გადმოსვლა, როცა ესოდენ გაურკვევლობაში და აშკარად სუროგატულ თავისუფლებაში გვიხდება ასევე სუროგატული დემოკრატიის ჭაპნის წევა.

ჩემი აზრით, და არა მარტო ჩემი აზრით, შოთა ნიშნიანიძეს, როგორც ერის გულისთქმის არავის მსგავსად გამომხატველს, დრომ უკვე მიუჩინა თავისი კუთვნილი ადგილი დიდ ქართულ მწერლობაში, პოეტის მებრძოლი სული კი შესაბამის ამაღლებასა და თავის თანაფარდთა შორის დავანებას ჯერჯერობით ისევ და ისევ ამაოდ ელის.

თუმცა, ეს არც საკვირველია, რადგან შოთა ნიშნიანიძემ, საფლავშიც ჩაიყოლა ჩვენს „ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში“ ერთი ჯერაც პასუხუპოვნელი კითხვა:

**„სად გინახავთ სხვა ამდენი
კაცი, ყალბად მლოცველი,
უგვირგვინო მეფეები
და ულექსო მგოსნები?!“**

ეს ეპიგრამები, წაკითხვის მერე, ვიცი, ბევრი დამეთანხმება, თითქოსდა ადამიანების მუდმივად სასიცოცხლოდ გამოსაფხიზლებელი ისრებია, თვითონ კრებული კი ამ ისრების ბუდეა, კაპარჭი, ნიადაგ თან სატარებელი. სხვისი არ ვიცი და მე პირადად უთუოდ ასე მოვიქცევი.

და, დასასრულ, ალალ მადლობას ვეტყვი „ბაკმს“, რაც მზისა და მთვარის მკრთალი შუქთანარეკლია, შარავანდია, ამ მართლაც ყოველგვარი სიავის მოსაგერიებელი „ისარ-კაპარჭის“ დასადარი კაფია-ეპიგრამების გამომცემელს.

ნამდვილად ზედგამოჭრილი იქნება, თუ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს ჭეშმარიტად დიდი პოეტის მწარე-მწარე სიმართლის მხოლოდ და მხოლოდ განზოგადოებულად აღსაქმელი პატარა კრებული ჩვენი სოციალურად თუ პოლიტიკურ-ეკონომიკურად ესოდენ ალუფხული ცხოვრების აქოთქოთებულ დიდ ქვაბსაც მარჯად მორგებულია და არც პატარაშია ლაღედ...

გურამ გოგიაშვილი

დიზაინერთა ნამუშევრების წარდგინება პერფომანსის თანხლებით

თბილისი გალერეამ ორი ახალგაზრდა დიზაინერის ერთობლივი ნამუშევრის პრეზენტაციას უმასპინძლა.

სოფიო სოროზნიშვილისა და ნუცა ხიზანიშვილის მიერ შექმნილი ბრენდის „Integral"-ის კოლექცია ათმა არტისტმა ორიგინალური პერფორმანსის სახით წარმოადგინა, რომელიც ხის კონსტრუქციასა და თაბაშირისგან შესრულებულ სკულპტურებს აერთიანებდა. ქანდაკებები განასახიერებდნენ პერსონაჟებს, რომელთა ვიზუალი დროსა და სივრცეში მუდმივად იცვლება. ახალგაზრდა დიზაინერების გამოფენის კონცეფციაც ესაა – ადამიანი, რომელიც დროსა და სივრცეში ცვალებადია და მას პერიოდულად სხვადასხვა „როლის" მორგება უწევს.

გამოფენის მსვლელობისას დამთვალიერებლებმა კოლექციის კონცეფციაზე შექმნილი ფილმიც იხილეს, რომლის რეჟისორები კატალინა ბაქრაძე, ანა სარუხანოვა, ხოლო ოპერატორი ლევან მაისურაძე არიან. პრეზენტაციაზე დამთავლიერებელს ვიდეო-არტის სახით წარმოდგენილი გოგლიკო ფიფიას ფოტოსესიისა და ახალგაზრდა ხელოვანის თინა მაყაშვილის მიერ შექმნილ ვიდეო-არტის ნახვაც შეეძლო.

ჩულურეთი ახალ სიცოცხლეს იწყებს

ჩულურეთის რაიონში, ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოები 80 მისამართზე მიმდინარეობს. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთების მიზნით 30 ობიექტზე სამუშაოები ტარდება. რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ დ.აბაშიძის ქ. №9-ში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და სამუშაოების მიმდინარეობით და მათი პრობლემებით დაინტერესდა.

„საცხოვრებელი სახლის სახურავების გადახურვის პრობლემა ჩულურეთის რაიონში დიდი ხანია, დგას, რაც განპირობებულია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზებით. შენობების უმეტესობა არის ძველი, თუმცა, სახურავები მრავალი წელია, არ შეკეთებულა. სახურავის შეცვლა თანადაფინანსებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი, რის შედეგადაც გამგეობა გასაწევი სამუშაოს ღირებულების 80%-ს აფინანსებს. ცხადია, რომ მოქალაქეებს ამ პროგრამის მეშვეობით ნაკლები თანხის გადახდა უწევთ. საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა რომ მდგომარეობა საგანგებო იყო და სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყების გადაწყვეტილება მივიღეთ", – განაცხადა ჩულურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ.

დ.აბაშიძის ქ. №9-ში სახურავების შეკეთებლად 28 160 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების ფარგლებში, გამოიცვალა სახურავის დამჭერი ხის მასალა და მოხდა თუნუქის სახურავით გადახურვა. აღნიშნულ მისამართებზე 17 ოჯახი ცხოვრობს. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჩულურეთის რაიონის 30 საცხოვრებელი სახლის, ჯამში 9 ათას 50 კვადრატული მეტრის, სახურავების კაპიტალური რემონტისთვის უკვე გამოიყო 252 ათას 750 ლარი.

◎ პოეზია

დილარ ივარდავა

სიმღერა რად გვეძრახების, საწუთრო ერწყმის გალობას!..

თებერვლის წერილი გაზაფხულს

ბატიფეხურით დაწერა,
(არ უვარგოდა მართლწერა)
– მე, თებერვალმა, ზამთრის თვემ,
შევქმენი ესრე – ქარტია,
ელოდეთ უკვე გაზაფხულს,
სულ მალე ციმციმ მარტია,
ყველა სულიერს, უსულოს
აახლეთ ჩემი სტატია!
განსაკუთრებით თოვლ-ყინვას –
ზამთრის მრისხანე პარტიას!
ყველამ გაიგოს, ცხადია,
ის ძუაა თუ ხვადია,
სწადია თუ არ სწადია,
წვანან, დგანან თუ დადიან,
მიეცენ თავდავიწყებას –
აღორძინება იწყება! –
ჩვენც ავყვეთ დროის დინებას,
შემოსოს კვირტმა ხეხილი,
ნუშმა დაიწყოს ფერხული...
მალე ფუტკრების ზუზუნი
შემოგვესმება მეფური!
სულს ღაფავს ზამთრის ზღაპარი,
ხეებში წვენი იღვრება,
იწყება ეშმა-ართვალის
სამარით დაარიღება!
ამ ცის და მიწის მხატვარი
სივრცეებს მწვანედ შეფერავს,
მზე ფირუზ ფერით დამთვრალი
მიწის მკერდს უკვე ეფერა;
თანდათან ზამთრის ქარბუქი
ჩააცხრო, მზისპირ შეკერა!
რა ძალა აქვს და რა ტვინი,
ვინა თქვა მისი უქმობა,
მალე ფრთებს გაშლის აპრილი,
აანთებს ვარდებს უქრობად!
აპრილს შეერწყმის მაისი
ჟუჟუნა წვიმის შოლტებით,
აშრიალდება ხალისით
ჭადარ-ალვების ფოთლები!
ასეა! აწ განახლების
სახეა ფერთა მრავლობა,
სიმღერა რად გვეძრახების –
საწუთრო ერწყმის გალობას!

გთხოვთ, დაფიქრებას

სხვის სახილველად აგება ტაძრის
არ ნიშნავს ღვთისთვის
შეწირვას განძის;
გულიდან ათვლილ სულამდე მანძილს
უფრო გვაჯერებს რეფლექსი ძაღლის!
სიერთგულეში უმთავრესია
ყოვლის სიწმინდე,
არა – ქონება;
თუ ააშენა დღეს ეკლესია
თავი წმინდანი ნუ გეგონება!
უმთავრესია ტაძრის საძირკველს,
თუ რა ზნეობრივ გზნებებში აქსოვ,
სიზიფეს ლოდი როგორ აზიდე –
უფალმა უწყის,
იცის და ახსოვს!
უმთავრესია მადლი და რწმენა
ღვიოდეს შენში, ვითარც სანთელი;
ხომ განსხვავდება საქმე და ენა –
სხვაა თქმული და...
სხვაა სათქმელი!
ამიტომ ისე უნდა იარო,
რომ საქმეს სჯიდეს მხოლოდ უფალი –
ამ წუთისოფლის თანაზიარო,
ღმერთს სასოება გულით უფარე!
ხალხს არ სჭირდება ხელჯუჯყის ზენა,
თუ ის სიმელწით არის ნაშოვნი,
მოჩვენებითი, ფუტურო რწმენა
ღმერთო მაღალო,
ქართველს აშორე!
ახლა არ მსურს რაღაც სიების,
ლექსის სტრიქონში გამოჭენება,
ნაძარცვ ფულებით ეკლესიების
აღმშენებელთა გთხოვთ, შეჩერება.

* * *

ნუ ჩაჩუმდები
სისხლის ყივილო
უძველეს მცხეთას,
ოდიშს თუ მლეთას –
თუ აურიალდა ეუვნით მიმინო
დგება განკითხვა საბრალო მწყერთა,
რადგან სულ მალე მისი კლანჭიდან
იხილავთ სისხლი თუ როგორ წვეთავს!

უცნაური და თან საცნაური

ურჟოლისმომგვრელი და საამური
გულზე შეგრძნება ისრით ამურის,
სიზმარეთიდან მკრთალად ხილული,
მართლაც ციური, ყოფით წრიული!
სხივებს რომ აფენს მიწას სიმებად,
მათ ხილვის შემდეგ ძილისპირული
მაღვიძებდა და...
არ მაძინებდა!
მას აქეთ მუდამ ვგრძნობ რომ,
ღვთიური
სითბო გულისკენ მოედინება.
ვისაც კი ვკითხე, ვერვინ ამიხსნა,
რა ჯადო ამყვა სიზმარეთიდან;
საოცარია, გარდა ამისა
გზები თუ გეზი არ მიმეთითა!
და, როგორც ალი ტყეში – დამცდელი,
მას აქეთ სულეთს მიფორიაქებს,
და ვგრძნობ, სანამდის
სულმთლად დავცხრები.
მანამდე ქართა სურვილს მიმაფენს!
ვნების ამგვარი შეუწყვეტლობა
უწყვეტად მაძლევს წვის ენერგიას,
სოფლად იტყვიან: – კოჭზე ეტყობა,
აასიმღერებს ის ელეგიას!
გაგაგებინებს ზენა რაც არის,
თუმცა, გაგება ერთობ რთულია;
რა საბრალოა კაცი დამცხრალი –
სიცოცხლის სისხლი სიყვარულია!

იმ დღის ვერდიქტით

არის არყოფნის სიცარიელე
იმ ჩავლილ დღეთა ექოთა ხმაში,
ჩემი ვარსკვლავი აწ ვერ იელვებს,
რადგან ცას მოწყდა –
ჩაიფშხვნა ხრამში!
აჩრდილთა ხლართი ბოჭვით მიმყვება,
სიყრმის ოცნებებს ღრუბლები ფარავს;
15 აგვისტოს ჯვარცმას მივყვები,
ნურავინ მეტყვის:
– წუხილი კმარა!
აპოკალიფსურ რიცხვების დაშლით
ვარ გაკოჭილი ეშმათა თოკით,
მე იმ დღის სუსხი ვიხილე ცხადში
და შენზე ადრე
ერთი დღით მოვკვდი!

კურთხეული თვისება

შროშის ქვევრს შერჩა ერთი ღირსება,
თუ გაბზარა არ აივსება;
ჩვენი სიცოცხლის ზადი ისედაც,
არ კარგავს, თურმე ქვევრის თვისებას!
აყალო მიწა რომ იზინთება,
თუ კარგად ის არ გამოიწვება,
ეს ქვევრიაო განა ითქმევა –
მარანს არ ვარგა დასამიწებლად!
ღვინო კი არა, მთხლე რო მთხლე არი,
აღარ იქნება მისი მხევალი!
თუჯიც თუ სადმე გაიბზარება
არ გამოდგება ტაძარს ზარებად!
ქინდილა კაცის ხვეწნა-ბრძანებას,
არც იკარებს და არც ეკარება!
უცნაურია თვისება კაცის,
ზოგი თუ იტყვის
ნალაყბევს – არ ცვლის –
დანაიდების წყლისმზიდავ კასრით!
სიჯიუტით და განმეორებით
გენებს აგრძელებს ნამდვილ ჯორების!
... შროშის ქვევრს შერჩა ღირსება ერთი,
ქვევრის ღვინო ხომ ჩვენს ძარღვებს
ერთვის!

* * *

ნუ მოიშორებ ბალღობის სამანს,
ის ჩაუქრობელ ვარსკვლავად ბრწყინავს;
საწუთროს შინა ცოცხალ ხარ სანამ,
უნდა გახსოვდეს ყოველი წვრილად,
ნურვინ იფიქრებს,
ნურვის ჰგონია –
არაფერს ნიშნავს რაც იყო წინათ,
მე მყავდა რანო ჯალაღონია,
რომელსაც გულში დავუდე ბინა,
ასეთი თუ არ გემახსოვრება,
მაშინ ფუჭია შენი ცხოვრება –
შენი სტუმრობა ამ ქვეყნად, დილარ!

ზოგჯერ სიცოცხლე

ვატყობ, არ მწყალობს ახლა მინერვა,
სტრიქონს თრთოლას და ურჟოლას
არიდებს;
ვნება დამცხრალი, თვლემას მინებდა,
ვერდიქტს მიმზადებს არსთა გამრიგე!
არ კარკაცებენ ჩახრიალები,
არ იყენებენ ტანზე ბუკუნტალს,
გადაუხდელი ქვეყნის ვალები
თიბათვის თონეს სუნთქვას უკუტავს!
საკუთარ ძვლების მესმის ხარკალი –
ეს ბალაგანი მოდის სიბერე,
არეული მაქვს ყოფის გზა-კვალი
და შემეპარა ზოგჯერ სიდედლე!
ფლასში დაყურსულ ღამეთა კვნესას
უდაბურობამ შიში არგუნა,
ვატყობ, მობეზრდა მთვარესაც, მზესაც
ალხით დამშრალი ჩემი ლაგუნა!
აღარ ფრიალებს ცხენის ქაჩაჩი,
ჩაწყვეტილია ექო მესეფის,
ზოგჯერ ცხოვრება ხდება ფარჩაკი
და ეზაფრება ძელქვას ფესვები.
ასეთ უამს ჰქვია უთუოდ წყალრღვნა,
ემორჩილება მკითხავთ მაგიას,
მტკივნეულია ასეთი დამღა,
ხვალის ცისკარი უსურმაგია!

შერწყმულა მნათად მარადისობას

კოლხთა მითებო, ჩემი მთიები
სადა ციმციმებს ან თქვენ სადა ხართ?
უთქვენო დოქი – დავცარიელდი,
ჰეკატეს ბაღი ერთობ გადახმა!
ოჩოკოჩებო, სად დაშლიგინებთ,
რა უმოწყალოდ წამგვარეს დალი,
თუმც, ამ ხვედრისთვის არ შევიგინებ,
გადამხდარზე კი დამიდგეს თვალი!
ოხაჩქუესთან ვკიდივარ ქარაფს,
გაფოთლილ ირმებს მთვარე მიწველის,
ჩემს განწირულ ხმას ხევ-ხუვი ფარავს,
მაგრამ შენს მეტი ვერვინ მიშველის!
ჩემი კაცური ცრემლების მომსწრე
მხოლოდ შენა ხარ, ჩემო დედაო!
მე მომხდურებმა ვითომცდა მომსპეს,
მაგრამ სიმართლე მედგა მწედაო!
ჭეშმარიტება თუ თვალსაზრისი?..
არ ამრევია მტყუან-მართალი,
პონტისპირ ჰყვავის ჩემი ფაზისი,
არდასანახი ეშმა-ართვალის!
დღიდან გაჩენის საღვთოდ სწერია
და შერწყმულია მარადისობას;
ომებს, გრიგალებს, მწველ ისტერიას
ის კოსმიურ ვნებით ისროდა!
ვინ გაარჩიოს მართალ-მტყუანი,
ვინ წერს პლანეტის ნაღდ ისტორიას, –
კოლხიდელების ცოდნა, გუმანი
ყოველთვის, მუდამ ღრმა და სწორია!
... მითებო, კოლხთა –
ჩემი მთიები,
მაცნეა მტრებთან – შურისძიებით!...

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



რომლის გული მოვიგოთ – მოსკოვისა და ევროპისა?

საქართველოს ხელმძღვანელობას არა აქვს განზრახული გააუქმოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ასეთი ნაბიჯისკენ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა წინა დღით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა. დიპლომატმა ეს ახსნა იმით, რომ რუსეთის დეპუტატებს განზრახული აქვთ, დაესწრონ ევროთა საპარლამენტო ასოციაციის სესიას რომელიც წელს თბილისში გაიმართება, და მათ სჭირდებათ უშიშროების გარანტიები. საქართველოს ხელისუფლება თავის მხრივ არ გამორიცხავს ამგვარი გარანტიების მინიჭების შესაძლებლობას რუსეთის დელეგაციისათვის, თუმცა, თავად კანონზე უარის თქმას არ აპირებს.

მოსკოვი კიდევ ერთხელ მოითხოვს თბილისისაგან, გააუქმოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ამჯერად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილის გრიგორი კარასინის პირით მიმდინარე წლის ზაფხულში თბილისში გაიმართება ევროთა საპარლამენტო ასამბლეის სხდომა, რომელშიც მონაწილეობის მიღებასაც აპირებენ რუსი დეპუტატებიც. მაგრამ თუ კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ არ გაუქმდება, მაშინ, როგორც წინა დღით გრიგორი კარასინმა განაცხადა, რუსეთის დელეგაციის წევრები შეიძლება პრობლემებს გადაეყაროონ.

ამ კანონის თანახმად, უცხოელი ქვეყნების მოქალაქეებს არა აქვთ უფლება, შევიდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევებს ემუქრებათ ფულადი ჯარიმა, განმეორებითი შემთხვევით დროს კი – თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის სამინისტრო ადრე უკვე მოითხოვდა დეპუტატებისგან შესაბამისი ცვლილებების შეტანას კანონში, მაგრამ ამ საკითხის განხილვა პარლამენტში შეაჩერეს. ახლა, როგორც ზაქარეიშვილს მიაჩნია, მათ მსვლელობა უნდა მიეცეთ.

ცვლილებებს კანონში არ გამორიცხავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანიც. ამ დროს მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავად კანონი არ იქნება შეცვლილი.

„თითოეულმა პატივი უნდა სცეს კანონს, რომელიც არსებობს. მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ ევროთა სურვილს და ამ ორგანიზაციის პრინციპებს. კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით ავღნიშნო, რომ ღონისძიება, რომელზეც არის საუბარი, აქ მიმდინარეობს ევროთა ეგიდით და არა საქართველოს ინიციატივით“, – განაცხადა ზალკალიანმა სპეციალურ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ამ პოზიციას კატეგორიულად არ ეთანხმებიან ყოფილი მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, პარტიისა, რომლის მმართველობის წლებში იქნა მიღებული კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიგი წერეთელმა განაცხადა, რომ ყველა დელეგაციის ყოფნის უზრუნველყოფა სესიაზე შეიძლება კანონში ცვლილებების გარეშეც.

ამას ეთანხმება ქართველი ექსპერტი კავკასიის საკითხებში ალეკო კვახაძე. მას ნიმუშად მოჰყავს ისრაელი, რომლის ტერიტორიაზეც არ იქნება დაშვებული არც ერთი ადამიანი, რომელიც იმყოფებოდა პალესტინის ავტონომიაში, ისრაელის ბლოკ-პოსტების გვერდის ავლით. თუნდაც ამ ადამიანს ჰქონდეს დეპუტატის სტატუსი. ამიტომ კვახაძეც გამოდის ერთდროული ნორმების მხარდასაჭერად რუსეთის დელეგაციისთვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, პოლიტოლოგი სერგი კაპანაძე გამოდის არა მხოლოდ კანონში ცვლილებების წინააღმდეგ, არამედ რაიმე გამორიცხვებისა და ხვრელების ძებნისაც კი: **„არ არის საჭირო, გავაკეთოთ ასეთი შეღავათები მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენზე თავდასხმა გაიფიქრა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. ეს არ უნდა გავაკეთოთ. ვფიქრობ, რომ კანონი არსებობს იმისთვის, რომ იგი დავიცვათ. თუ ამ ხალხმა დაარღვია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და ჩვენი კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, ისინი არ უნდა შემოვუშვათ საქართველოში“,** – განაცხადა კაპანაძემ.

როდის დაიწყებენ დეპუტატები კანონში შესაძლო ცვლილებების განხილვას, უცნობია. თავად ევროთა საპარლამენტო ასამბლეის სესია გაიმართება მიმდინარე წლის ზაფხულზე – 1-დან 5 ივლისამდე.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

დონალდ ტრამპის შვილს გაუგზავნეს ნერილი დაშინებით და თეთრი ფხვნილით

კონვერტი შტატ მასაჩუსეტის საფოსტო შტემპელით მიმართული იყო ერიკ ტრამპისადმი, რომელიც ცხოვრობს ბინაში მე-14 სართულზე ნიუ-იორკში ცენტრალური პარკის მახლობლად. წერილი გახსნა ერიკის ცოლმა, ტელეპროდიუსერმა ლარა იუნასკამ. წერილში ნათქვამი იყო, რომ დონალდ ტრამპის ბავშვებს ძალიან გაუჭირდებათ, თუ იგი არ გამოვა საპრეზიდენტო რბოლიდან.

ევროკავშირმა რუსეთის ფედერაციასთან ყირიმის შეერთების წლისთავისათვის მოუწოდა გაეროს ქვეყნებს – შემოიღონ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ

ევროკავშირში შეახსენეს გაეროს გენერალური ასამბლეის 2014 წლის 27 მარტის რეზოლუცია, რომელიც აღიარებდა არალეგიტიმურად რეფერენდუმს ნახევარკუნძულის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ევროკავშირის ხელმძღვანელობამ ასევე გამოხატა შეშფოთება ყირიმში ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებით.

პენტაგონის ხელმძღვანელმა რუსეთის ფედერაცია აშშ-ის უშიშროებისათვის გლობალური საფრთხის სიაში პირველ ადგილზე დაასახელა

თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტში მოსმენაზე, რომელიც მიეძღვნა თავდაცვის ბიუჯეტს 2017 წლისათვის, ეშტონ კარტერმა რუსეთი და ჩინეთი შეაფასა, როგორც ყველაზე სახიფათო კონკურენტები, რომლებსაც აქვთ შეიარაღების განვითარებული სისტემები და კვლავ ამტკიცებენ რომ ისინი საფრთხის ქვეშ აყენებენ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობას ზოგიერთ დარგში.

სამგზავრო თვითმფრინავი ელვის დარტყმის შემდეგ სასწრაფოდ დაჯდა ნიუ-იორკში

თვითმფრინავ Embraer 170-ის ბორტზე, რომელიც ასრულებდა რეისს ჩრდილოეთი კაროლინიდან ნიუ-იორკში, იყო 55 მგზავრი და ეკიპაჟის 4 წევრი. დაჯდომა წარმატებით განხორციელდა, ბორტზე დაშავებულები არ არიან. დაიწყო გამოძიება.

ევროკავშირმა შეათანხმა საერთო პოზიცია თურქეთთან შეთანხმებისთვის, მაგრამ არა მისი ტექსტი

შეთანხმების ტექსტი მიგრაციის შესახებ არ იყო შეთანხმებული, მას განიხილავენ მეორე დღეს თურქეთის პრემიერთან, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამიტში. გერმანიის კანცლერი მერკელი მოუწოდებს, დაიწყონ მიგრანტების დაბრუნება თურქეთში – ესაა ზომების საკვანძო პუნქტი – რაც შეიძლება მალე.

ევროკავშირი თურქეთს, მიგრანტების დაბრუნების სანაცვლოდ, ფინანსურ დახმარებასა და შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას შესთავაზებს

ამის შესახებ „ბიბისის“ ინფორმაციით, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრმა ქსავიე ბეტელმა განაცხადა. შეთანხმებას თურქეთის პრემიერ-მინისტრს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი წარუდგენს, – წერს „ტვიტერზე“ ბეტელი.

შეთავაზება საბერძნეთში თურქეთიდან გადასული ყველა

მიგრანტის უკან დაბრუნებას ითვალისწინებს. სანაცვლოდ კი, როგორც მოსალოდნელია, ევროკავშირი ანკარას ფინანსურ დახმარებასა და შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას შესთავაზებს.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თურქეთი გააფრთხილა, რომ მან ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები უნდა უზრუნველყოს.

მისი განმარტებით, შეთანხმების მიხედვით თურქეთის ბანაკებიდან ევროკავშირში ლტოლვილების გადასახლება რამდენიმე დღეში დაიწყება მას შემდეგ, რაც საბერძნეთიდან თურქეთში პირველი არალეგალი მიგრანტი დაბრუნდება. თურქეთს პრემიერ-მინისტრის აჰმეტ დავუთოღლუს განცხადებით, თურქეთი არ აპირებს ლტოლვილებისთვის „ღია ცისქვეშ“ იქცეს.

მოსკოვში აშშ-ის საელჩო ამერიკის მოქალაქეებს მოსალოდნელ ტერაქტებზე აფრთხილებს

ამის შესახებ რუსულ მედიას დიპლომატიური მისიის პრესმდივანმა უილიამ სტივენსმა განუცხადა.

„მსოფლიოს მასშტაბით ჩვენი საელჩოები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რეგულარულად ამერიკის მოქალაქეებთან ინფორმაციის გაცვლის რეჟიმში იმყოფებიან. დღეს მოსკოვში მდებარე ამერიკის საელჩომ შეტყობინება გაავრცელა, რომელიც ევროპაში ტერორისტულ საშიშროებას, მათ შორის რუსეთს შეეხება“, – აღნიშნა სტივენსმა.

გავრცელებულ ტექსტში ნათქვამია, „სანდო წყაროები იუწყებიან, რომ ტერორისტები თავდასხმას ევროპაში ამზადებენ, ეს მზადება რუსეთსაც შეეხება, კერძოდ, კი მოსკოვს. პოტენციური საშიშროების სამიზნე საზოგადოებრივი ადგილები, ასევე რესტორნები, ტურისტული ღირსშესანიშნაობები და ტრანსპორტი გახდება“.

შეგახსენებთ, რომ მარტის დასაწყისში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ევროპაში ტერაქტებს გეგმავს.

ჩრდილოეთმა კორეამ ბალისტიკური რაკეტები იაპონიის ზღვაში გაუშვა

სამხრეთის მონაცემებით, რაკეტები გაუშვეს პოლიგონიდან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთში. ერთ-ერთი მათგანი გადაფრინდა დაახლოებით 800 კილომეტრზე ქვეყნის ტერიტორიის თავზე და ჩაიძირა იაპონიის ზღვაში, მეორე – აფეთქდა ჰაერში. კორეის შტაბების უფროსების კომიტეტმა რაკეტების ტიპი შეაფასა, როგორც Rodong.

თურქეთში დანაღმული ავტომობილი აღმოაჩინეს

თურქმა გამნაღმველებმა ავტომობილი, რომელშიც დამონტაჟებული იყოს ასაფეთქებელი მოწყობილობა, გააუვნებელყვეს. Reuters-ი პოლიციელებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ავტომობილი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქალაქ ჰანის ერთ-ერთ სამთავრობო შენობასთან აღმოაჩინეს. ქალაქი ძირითადად ქურთებით დასახლებულ დიარბაქირის პროვინციაში მდებარეობს. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს სწავლობენ.

13 მარტის ტერაქტის შემდეგ ქვეყანაში უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია.

„კონ-ტიკი-2“-ის წყნარი ოკეანის ექსპედიცია შეწყდა, მისი მონაწილეები ევაკუირებული არიან

წინა დღით ორი ტივიდან ერთ-ერთის ეკიპაჟმა, რომელიც შედიოდა ექსპედიციის შემადგენლობაში, მისცა უბედურების სიგნალი. იგი ჩილელმა სამხედროებმა მიიღეს. მათ დაადგინეს ტივის ადგილმდებარეობა და მის დასახმარებლად უახლოესი ხომალდი გაგზავნეს.

საქმე №1/93-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

1 მარტი 2016 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „B&M GROUP“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ლუიზა ნაზღაიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 10 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „B&M GROUP”-ის სარჩელი მოპასუხე ლუიზა ნაზღაიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:
2013 წლის 2 ნოემბერს შპს „B&M GROUP”-სა და ლუიზა ნაზღაიძეს შორის დაიდო №BMG241 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „B&M GROUP”-მა მსესხებელზე გასცა 1800 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 01.02.2014წ.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებილი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მერსედეს ბენც C 200; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1997; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WDB2020-201F549250; სარეგისტრაციო ნომერი: JXJ334.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო მოპასუხის ლუიზა ნაზღაიძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლუიზა ნაზღაიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მის საკუთრებაში არსებული ქონების მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ლუიზა ნაზღაიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ლუიზა ნაზღაიძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლუიზა ნაზღაიძეს (პირადი №01001007032) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „B&M GROUP”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ლუიზა ნაზღაიძეს განემარტოს, რომ
გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ლუიზა ნაზღაიძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 11 აპრილს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „B&M GROUP”-ის სარჩელზე,სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ლუიზა ნაზღაიძის მიმართ.

5. ლუიზა ნაზღაიძეს ეცნობოს,თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/06-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

16 მარტი 2016 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: იოსებ წივილაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 13 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე იოსებ წივილაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:
2012 წლის 25 დეკემბერს შპს „სმარტ კრედიტსა” და იოსებ წივილაშვილს შორის დაიდო №121210440 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 5240 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 25.03.2013წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე იოსებ წივილაშვილს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისება და დაგირავება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე იოსებ წივილაშვილს ოთხჯერ გაეგზავნა, როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ, ისე რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე იოსებ წივილაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე იოსებ წივილაშვილი რეგისტრაციის მიხედვით და ასევე მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი სხვა ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე იოსებ წივილაშვილს (პირადი №01002024389) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. იოსებ წივილაშვილს განემარტოს, რომ:
გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე იოსებ წივილაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 11 აპრილს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „სმარტ კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით იოსებ წივილაშვილის მიმართ.

5. იოსებ წივილაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

დღეს „დინამო არენაზე“ დიდი მატჩია

საძარმევლოს მორაგბეთა ნაკრები დღეს (17.00 საათიდან; ტელეარხი „სპორტაჟი „პირველი არხით“) „დინამო არენაზე“ ერთა თასის გათამაშების ბოლო ტურის მატჩში რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. მეტოქეებს გათამაშების ცხრილში თანაბარი ქულები აქვთ - ჩვენები „მუხის ფოთლებად“ მონათლულ კარპატელებს ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებენ. ამდენად, დღევანდელ პაექრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს - გამარჯვებული ევროპის ერთა და ანთიმოზ ივერიელის თასებს დაისაკუთრებს.

წინა კვირას რუსებთან შეხვედრის შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება შეიტანა: გარემარბის პოზიციაზე დაბრუნდა გიორგი ფრუიძე, ცხრა ნომრად ისევ ვასილ ლობჟანიძე ითამაშებს, მარცხენა ბურჯის პოზიციას მიხეილ ნარიაშვილი დაიკავებს, მესამე ხაზში მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ პირველად ითამაშებს საქართველოს 2015 წლის საუკეთესო მორაგბე მამუკა გორგოძე, რვა ნომრის პოზიცია მწვრთნელებმა ახალგაზრდა ბექა გორგაძეს ანდეს. რუმინეთთან მატჩს ტრავმის გამო გამოტოვებს მერაბ შარიქაძე.

გადახალისებული შემადგენლობით ჩამოვიდნენ რუმინელებიც: სხვადასხვა მიზეზით ვერ ითამაშებენ ჰორაციუ პუნგეა, კატალინ ფერკუ, საბინ სტრატილა, მადალინ ლემნარუ, მიჰაი მაკოვეი, სტეფან შენანი და ოთარ ტურაშვილი. სამაგიეროდ, ორი ნატურალიზებული მორაგბე ჰყავთ: სამხრეთაფრიკელები — ჯოდი როსი და იოჰან ფან ჰირდენი.

„დინამო არენაზე“ ქართველები ასეთი შემადგენლობით გავლენ:

მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი ფრუიძე, დავით კაჭარავა, თამაზ მჭედლიძე, ალექსანდრე თოდუა, ლაშა ხმალაძე, ვასილ ლობჟანიძე. მიხეილ ნარიაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ანტონ ფეიქრიშვილი, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, ბექა გორგაძე. კარლენ ასეიშვილი, შალვა მამუკაშვილი, ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე, ლაშა ლომიძე, გიორგი ბეგაძე, ლაშა მალაღურაძე, გიორგი აფციაური.

მსაჯი: ტიუალ ტრენინი (საფრანგეთი).

სატურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ: საქართველო — 19 (+150), რუმინეთი - 19 (+112), რუსეთი — 9 (-19), ესპანეთი - 7 (-4), გერმანია — 5 (-109), პორტუგალია — 1 (-106) ქულა.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი მეტოქეები აქამდე 19-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: ათი მატჩი „ბორჯღალოსნებმა“ მოიგეს, რვა — რუმინელებმა და ერთი შეხვედრა ფრედ დასრულდა.

შარშან მსოფლიოს თასზე „ბორჯღალოსნებმა“ ორი ორთაბრძოლა მოიგეს და 12 საუკეთესოში დაიმკვიდრეს ადგილი, რითაც 2019 წლის მსგავს შეჯიბრებაზე იაპონიაში გასამგზავრებელი საგზურიც დაიბევეს, მაგრამ რუსებთან გამარჯვების შემდეგ ჩვენი ნაკრები მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-12 ადგილზე პირველად აღზევდა: ტონგას გადავასწარით და 6 ერის მონაწილე იტალიას უფრო მეტად დავშორდით. რუმინეთს რეიტინგში მე-16 საფეხური უკავია.

წლის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩამდე 3 დღით ადრე რაგბის კავშირმა შარშანდელი სეზონის საუკეთესოები დააჯილდოვა: 2015 წლის საუკეთესო ქართველ მორაგბედ საფრანგეთის „ტულონის“ მოთამაშე **მამუკა გორგოძე** დაასახელეს. მან ეს წოდება ზედიზედ მეხუთედ დაიმსახურა. საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურმა სპონსორმა თიბისი-მ მას სპეციალური პრიზი გადასცა (ქვეყნის ჩემპიონატის 2014-2015 წლების საუკეთესო მორაგბეა — **ლაშა ხმალაძე,** საუკეთესო მელელოვე — **ირაკლი გეგენავა,** საუკეთესო მექუღე — **თემურ სოხაძე** , საუკეთესო მწვრთნელი — **ლევან მაისაშვილი,** საუკეთესო ქალი მორაგბე — **ანა პოღოსიანი).**

◎ ფეხბურთი

წილი ნაყარია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:

„ვულფსბურგი“ — „რეალი“,

„ბაიერნი“ — „ბენფიკა“,

„ბარსელონა“ — „ატლეტიკო“,

„პარი სენ-ჟერმენი“ — „სიტი“.

ამ ეტაპის შეხვედრები 5-6 და 12-13 აპრილს მოეწყობა, ხოლო ფინალს მაისში მილანი უმასპინძლებს.

გიორგი ზოთაძე

◎ რეკორდის ზღურბლთან

„სან ანტონიოს“ ზედიზედ 34-ე საშინაო გამარჯვება

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 8 შეხვედრა გაიმართა.

„სან ანტონიომ“ შინ „პორტლენდი“ 118:110 დაამარცხა. ტეხასელებმა წინა სეზონიდან მოყოლებული სახლში ზედიზედ 34-ე შეხვედრა მოიგეს, რაც ნბა-ს ისტორიაში მეორე მაჩვენებელია. ყველაზე მეტი ზედიზედ მოგებული საშინაო შეხვედრა 1995/96 წლების „ჩიკაგო ბულზის“ ანგარიშზეა — 37.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, „სან ანტონიომ“ ტრადიციულად გუნდური კალათბურთი ითამაშა, ხუთმა კალათბურთელმა 11 და მეტი ქულა ჩაგდო. მათ შორის 22 ქულით ოლდრიჯი და ტონი პარკერი (18 ქულა, 16 პასი) გამოირჩნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

„გულივერა“ კვლავ ლიდერია!

მამუკა გორგოძე 32 წლისაა. რაგბი ბავშვობიდანვე შეიყვარა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში პირველად 2003 წელს 18 წლისამ ითამაშა. 10 წლის განმავლობაში საფრანგეთის ტოპ-14-ში (მსოფლიოში უძლიერესი საკლუბო პირველობა) „მონპელიეს“ ღირსებას იცავდა, სადაც ორი წლის წინათ საუკეთესო მბოჭავის სახელიც დაიგდო. 2015 წლიდან საფრანგეთის ტოპ-14-ის კლუბ „ტულონში“ გადავიდა. „გულივერა“, როგორც მას ეძახიან მეგობრები, ყველგან და ყოველთვის მოწინავე პოზიციებზეა, გუნდის თუ ეროვნული ნაკრების ლიდერია. შარშან ინგლისში მსოფლიოს თასზე შესანიშნავად გაისარჯა — ტონგასა და მსოფლიოს ჩემპიონ ახალ ზელანდიასთან პაექრობებისას მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, ხოლო ტურნირის ორგანიზატორებმა შეჯიბრების სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. „ტულონში“ გადასვლის შემდეგაც მალევე გახდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი. „ისეთი ხასიათი მაქვს, სადაც უნდა ვთამაშობდე, აუცილებლად ლიდერებს შორის უნდა ვიყო, სხვაგვარად არ შემიძლია. ვცდილობ, ყველგან ვთქვა ჩემი სათქმელი და ასე იქნება კარიერის ბოლომდე“, — ამბობს მამუკა გორგოძე.

როგორც ვთქვით, იგი 32 წლისაა, მაგრამ ასაკი სულაც არ უშლის ხელს, მუდამ მოტივირებული იყოს, საუკეთესოთა კოჰორტიდან არ ამოვარდეს. ქართველ მორაგბეს ერთ-ერთი ჟურნალისტისთვის ხუმრობით უთქვამს: „თურმე, ჩემზე ამბობენ, დაბერდაო. ბევრს, ალბათ, უკვე ჩამოსაწერიც ვგონივარ. არ დაიჯეროთ! მინიმუმ 2-3 წელი მაინც ვერ მოესწრებიან ჩემს „დაბერებას“. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში დღეს „დინამო არენაზე“ მისული ქომაგებიც დარწმუნდებიან: „ბორჯღალოსნები“ თავიანთი ლიდერის — მამუკა გორგოძის წინამძღოლობით „მუხის ფოთლების“ მეთერთმეტედ დასამარცხებლად არაფერს დაიშურებენ.

ვაჟა დანელია

◎ სუმო

ტოჩინოშინის და გაგამარუს მარცხიანი დღე ოსაკაში

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო ბაშოს მე-6 დღეს ორივე ქართველმა სუმოისტმა წააგო და თუკი გაგამარუს მდგომარეობას კრიტიკულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, ტოჩინოშინი საკმაოდ მძიმე ვითარებაში იმყოფება.

ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი, რომელიც ჰარუ ბაშოს დასავლეთის მე-2 მაეგაშირას წოდებით შეხვდა, აღმოსავლეთის იოკოძუნა კაკურიუს დაუპირისპირდა და იორიკირით დამარცხდა.

ტოჩინოშინს 6 დღის თავზე ერთადერთი გამარჯვება შერჩა, მომდევნო ორთაბრძოლას კი კიდევ ერთ დიდ ჩემპიონ ჰაკუჰოსთან გამართავს, რომელთანაც გასული 21-ვე (!) შეხვედრა წაგებული აქვს.

თანაბარ ბალანსზე (3 მოგება, 3 მარცხი) გავიდა გაგამარუს შიკონათი ცნობილი თეიმურაზ ჯუღელი, რომელმაც აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა ჩიიოოტორისთან დათმო ბრძოლა.

ქართველი გოლიათი ოსაკას დოჰიოზე აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირას ტიტულით ირჯება, სუპერტურნირის მე-7 დღეს კი ძალებს დასავლეთის მე-13 მაეგაშირა მიტაკეუმისთან მოსინჯავს. გაგამარუს ამ უკანასკნელთან 2 ბრძოლა ჩაუტარებია და ასპროცენტიანი შედეგი აქვს.

ამ დროისთვის ჰარუ ბაშოს 2 დაუმარცხებელი ლიდერიღა ჰყავს: ესენი ოძეკი კისენოსატო და აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა იკიოი არიან. ისიც სათქმელია, რომ აღმოსავლეთის იოკოძუნა ჰარუმაფუჯიმ აღმოსავლეთისვე სეკივაკე იოშიკაძესთან ჰიკიოტოშით წააგო და პასივში უკვე 2 მარცხი აქვს.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

მარკო როისი ყურებამდე შეყვარებულია

ბრცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დორტმუნდის „ბორუსიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელმა მარკო როისმა მიაფურთხა ეშმაკს და საჯაროდ აღიარა, რომ გამიჯნურებულია და ყურებამდე შეყვარებულია თანამემამულე მოდელზე, ამ ცხოვრებაში ათასი რამის მნახველ სკარლეტ ჰარტმანზე.

სკარლეტი და მარკო ერთურთს აქამდეც ხვდებოდნენ, თუმცა, მათი ტრფობა საიდუმლო შეხვედრების ხასიათს ატარებდა და რთულია დაადგინო, თუ რატომ იყო ეს ამბები ასე გასაიდუმლოებული მაშინ, როდესაც როისი უკვე დაშორებული იყო ძველ გულისსწორს და არც სკარლეტს ჰყავდა ოფიციალური დამბუბვნელი.

ახლა დორტმუნდელი ნახევარმცველი და მისი ტიპ-მოდელი სატრფო სულ ერთად ჩნდებიან გერმანიის მაღალ საზოგადოებაში და არც ინტერვიუებზე არიან უარს. ერთი ისაა, რომ ეს ჩვენი როისი დიდი ენაკვიმატობით ვერ გამოირჩევა და მის უშნო ბლადუნს ისევ სკარლეტ ჰარტმანის ღუღუნა ხმის მოსმენა სჯობს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სულიერება

მართლმადიდებლობის ზეიმი დიდმარხვის I კვირიაკე

20 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მართლმადიდებელთა ზეიმს, ეს კი ხდება დიდმარხვის პირველ კვირიაკეს.

...ცნობილია, რომ VIII საუკუნეში ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცების ჟამს, მის წიაღში წარმოიშვა ახალი ერესი – ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა და მრავალი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას.

ერეტიკული სწავლების საპირისპიროდ, იოანე დამასკელმა ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყალიბა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: სამყაროში ყოველივე ხატია; გამოსახულება: თავად კაცი ხატი და მსგავსია ღმრთისა. ყოველი საგანი ხატია იდეისა. საგულისხმოა, რომ ხატსა და პროტოტიპს შორის, მატერიასა და სულს შორის არსებობს კავშირი.

თუკი ხატმებრძოლნი სულთან მატერიის ამ კავშირს სრულიად უარყოფენ, მაშინ ისინი მანიქეველები ყოფილან, რომელნიც ღმერთთან მატერიალური სამყაროს ყოველგვარ ზიარებას გამორიცხავდნენ.

...842 წელს მოიწვიეს კრება. კრების აქტები მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებებს ეფუძნებოდა.

ადგილობრივმა კრებამ ხატმებრძოლთა ერესი დაგმო, **ხატთა თაყვანისცემა აღადგინა... და გამოაცხადა მართლმადიდებლობის ზეიმი, რომელსაც იმ დღიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს!**

მართლმადიდებელი ეკლესია თავის მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას მოწმობს ხილული ნიშნებით – სასწაულებით. ასეთია მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, ნათლისღების დღესასწაულზე სასწაული, ფერისცვალების დღესასწაულზე – მოწმენდილ ცაზე აუცილებლად გამოჩენა ღრუბლისა თაბორის მთაზე!

გიული ლიპარტია

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ნამდვილი წევრი, წევრი აკადემიკოსი

ოთარ თადუმაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მადონა, ემილ მიქაიები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ოჯახის უახლოეს მეგობარს ზურაბ ჩხაიძეს მეუღლის, ღირსეული ქალბატონის

მარიამ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად თანაუგრძნობს ბატონ ზურაბ ჩხაიძეს მეუღლის

მარიამ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო.

ახალი ცხოველები თბილისის ზოოპარკისთვის

ივნისის წყალდიდობის შემდეგ თბილისის ზოოლოგიური პარკი ევროპის ზოოპარკებისგან საჩუქრად გადაცემული ცხოველების პირველ ნაკადს მიიღებს. რიგის ზოოპარკი თბილისში 7 ცხოველს გზავნის: 2 თუთიყუში არარაუნა, 3 ალპაკა, 1 აქლემი და 1 აზავერი. თუთიყუშები 19 მარტს თვითმფრინავით ჩამოფრინდებიან, ჩლიქოსნების კონტეინერებით დატვირთული ბორანი ბათუმის პორტში 21 მარტს შემოვა. ცხოველების დასახვედრად ბათუმში თბილისის ზოოპარკის წარმომადგენლები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო სულხანიშვილი გაემგზავრებიან. ახალი ბინადრებისთვის ვოლიერები უკვე მზადაა, – იტყობინება ზოოპარკის ადმინისტრაცია.

რიგის ზოოპარკი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის ზოოპარკის კოლექციის ცხოველებით შევსების ინიციატივას. რიგის დუმამ მათი ტრანსპორტირებისთვის 15,000 ევრო გამოყო. კოლექციის შევსების გეგმა თბილისის ზოოპარკში „ევროპის ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის“ (EAZA) მენტორთან ერთად მომზადდა. პირველი ეტაპისთვის შეირჩა ცხოველები, რომელთა ვოლიერების მშენებლობაც არსებულ ტერიტორიაზე მინიმალური დანახარჯითაა შესაძლებელი.

თბილისის ზოოპარკის დამთვალიერებლები თუთიყუშების მონახულებას 19 მარტიდან, ხოლო ჩლიქოსნების ნახვას 22 მარტიდან შეძლებენ.

◎ ინფორმაცია

სამელიორაციო ინფრასტრუქტურა უმჯობესდება

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს შპს „საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის დირექტორმა ნიკოლოზ ქურთიშვილმა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გივი გერგიძემ.

მხარეებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტში საირიგაციო სისტემებზე არსებულ მდგომარეობაზე. რეგიონის დირექტორმა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების წყალუზრუნველსაყოფად მიმდინარე და დაგეგმილი მასშტაბური სამუშაოების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა და თითოეული პროექტი განიხილა, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობასა და ამ პროცესში მოსახლეობის ჩართულობაზე.

მედიკამენტები უკანონოდ იყიდება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა აფთიაქის ხელმძღვანელი პირების მიერ, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის არაერთი ფაქტი გამოავლინა.

კერძოდ, გამოძიებით და კონტროლის მიზნით განხორციელებული შესყიდვებით დადგინდა, რომ სხვადასხვა აფთიაქში სისტემატიურად ხდებოდა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეცეპტის გარეშე რეალიზაცია, რომლის მეშვეობითაც აფთიაქების ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი.

საქმე №1/17-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 18 მარტი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“

საარბიტრაჟო მოპასუხე: ლაშა სამხთუაშვილი, ვახტანგ ნებუნიშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 24 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ლაშა სამხთუაშვილისა და ვახტანგ ნებუნიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 25 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ლაშა სამხთუაშვილს შორის დაიდო №051210735 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 850 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 25.06.2012წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა-გრაფიკით განსაზღვრული შემოსატანი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მსესხებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ბმვ 318 I; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1995; ტიპი: სედანი; ფერი: ლურჯი 7/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №WBACA02070AD73389; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AV8190755; სარეგისტრაციო ნომერი: ZLZ676.

2015 წლის 14 აპრილს, ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, ვახტანგ ნებუნიშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ვახტანგ ნებუნიშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ვახტანგ ნებუნიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ვახტანგ ნებუნიშვილი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ვახტანგ ნებუნიშვილს (პირადი №01011067046) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ვახტანგ ნებუნიშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ვახტანგ ნებუნიშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 4 აპრილს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ლაშა სამხთუაშვილისა და ვახტანგ ნებუნიშვილის მიმართ.

5. ვახტანგ ნებუნიშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ვერნისაჟის ეძო

ივანე კეზუას პერსონალური გამოფენა

ამ დღეებში მწერალთა სახლში გაიმართა მხატვარ ივანე კეზუას პერსონალური გამოფენა, რომელიც გახსნა სტუდენტმა, უმშვენიერესმა ნატალი გონაშვილმა, რომელიც უმაღლეს განათლებას აშშ-ში, კერძოდ ნიუ-იორკში ეუფლება. მან მხატვრის შემოქმედება გააცნო დამსწრე საზოგადოებას, რომელთა უმრავლესობას ახალგაზრდები, გამოჩენილი მხატვრები, მწერლები, ოჯახის წევრები, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები წარმოადგენენ.

ხელოვანთა და შემოქმედთა სიმრავლე იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ ივანე კეზუა პოეტ **მაყვალა გონაშვილისა** და **მერაბ კეზუას** ვაჟიშვილია, ამიტომაც აინტერესებდათ თავიანთი მეგობრის შვილის სულიერი სამყარო, პროფესიონალიზმი, სამყაროს ხედვა.



ახალგაზრდა, იმედისმომცემი მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრეს სახალხო მხატვარმა, „მეტრის“ ნომინანტმა **გივი თოიძემ,** ცნობილმა ფერმწერმა **რევაზ ადამიამ,** საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **რევაზ მიშველაძემ,** პოეტმა **ჯანსუღ ჩარკვიანმა,** დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირეტქორმა, პოეტმა **ბადრი ქუთათელაძემ,** პოეტმა **მზია ხეთაგურმა,** გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილემ **ნანა ჭიჭინაძემ** და სხვებმა. მათ მიულოცეს მხატვარს მორიგი პერსონალური გამოფენის გახსნა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.



ახალგაზრდა პოეტებმა **ოთო ფალიანმა** და **ნიკა ქვრივიშვილმა** საკუთარი ლექსები მიუძღვნეს მხატვარს.

მარიკა პოპიაშვილი

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ინფორმაცია

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში გოგონებიც ისწავლიან

გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ახალ სასწავლო წელს სიახლით ხვდება. სექტემბრიდან სამხედრო სასწავლებელში ცხრაკლასდამთავრებულ გოგონებსაც შეეძლებათ სწავლა.

გუშინ აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა დოლიძემ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს გიორგი აბაშიშვილს ლიცეუმში სტუმრობისას მიაწოდა.

სტუმრები კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორმა, პოლკოვნიკმა ალექსი კეკელიამ მიიღო და სასწავლებლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა. მოგვიანებით ანა დოლიძე და გიორგი აბაშიშვილი სამხედრო ლიცეუმის პედაგოგებს შეხვდნენ და ადგილზე დააკვირდნენ კადეტთა სასწავლო პროცესს.

— კადეტთა სამხედრო ლიცეუმი უმაღესი დონის საშუალოსაგანმანათლებლო სასწავლებელია. ჩვენ დაახლოებით 10 000 ლარს ვხარჯავთ თითოეულ მოსწავლეზე. ლიცეუმი საქართველოში საუკეთესო სკოლებს შორის ერთ-ერთია. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოვიზიდოთ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც მოტივირებულნი არიან, გახდნენ სამხედრო მოსამსახურეები მომავალში,“ — განაცხადა ანა დოლიძემ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველმა მაიმუნმა ხელში ჯოხი აიღო, დანარჩენებმა დაიწყეს მუშაობა.

* * *

როცა მოგვიწოდებენ გვჯეროდეს, მაშასადამე, ყველა იმედი გადაწურულია.

* * *

სამახსოვრო მომავალი ქმრებისთვის.

თუკი იმ დროს, როცა სატრფოს ცოლობას სთხოვთ, ორი წამით მაინც გაყუჩდებით და ყურს მიუგდებთ, აშკარად გაიგონებთ ძალიან ხმადაბალ, მაგრამ უკიდეგანო სევდით გაჯერებულ „არა, არა, არას“... ეს თქვენი საკუთარი გოდებაა თქვენივე არცთუ შორეული მომავლიდან...

* * *

— **თქვენი** ცოლი, ბატონო, ალბათ, მზეთუნახავი ქალია, განა ასე არ არის?

— დიახ, მაგრამ თქვენ როგორ მიხვდით?

— ძალიან უბრალოდ! თქვენ ზედგამოჭრილი ოჩოპინტრე ხართ, შვილები კი სიმპათიური ბავშვები არიან...

* * *

— **რას** გეტყვი ძამა იცი? შვილებს ყველაფერი საუკეთესო უნდა მისცე, იმიტომ, რომ, როცა გაიზრდებიან, თვითონ წაგართმევენ...

* * *

რჩევა ქალბატონებს:

ეცადეთ, არასდროს ატაროთ ერთად სხვადასხვა ძვირფასი ლითონის სამკაულები. მაგალითად, ვერცხლის საყურე და გულსაბნევი ოქროს კბილებთან ერთად საშინელი სანახავია!

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!